

საქსაქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მინაგო მეფარიშვილი

თერმო-ჰიდროდინამიკური პროცესების გამოკვლევა ახალი ტიპის
თბურამძრავიან მემბრანულ ტუმბოში

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა 04 06

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

2015 წელი

საავტორო უფლება © 2015 წელი, მინაგო მეფარიშვილი

თბილისი

2015 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში
სამშენებლო ფაკულტეტი
წყალმომარაგების, წყალარინების, თბოაირმომარაგებისა და
შენობათა საინჟინრო აღჭურვის დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფესორი ი. შეყრილაძე

რეცენზენტები: პროფესორი ო. ფურცელაძე

პროფესორი დ. ლაოშვილი

დაცვა შედგება 2015 წლის 14 ივლისს 15⁰⁰ საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე,
კორპუსი 1, II სართული, ფლიგელი ბ, აუდიტორია 215^ბ

მისამართი: თბილისი 0175, კოსტავას 68

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი : პროფესორი დ. ტაბატაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2015

ავტორი: მეფარიშვილი მინაგო

დასახელება: თერმო-ჰიდროდინამიკური პროცესების გამოკვლევა ახალი ტიპის თბურამძრავიან მემბრანულ ტუმბოში

ფაკულტეტი: სამშენებლო

აკადემიური ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: 2015

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ
ზემოთ მოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის
შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების
უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს. მთლიანი ნაშრომის
ან მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა, ან სხვა რაიმე მეთოდით
რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.
ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით
დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის
ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას
ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების
შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ენერჯის განახლებადი წყაროების, პირველ რიგში, მზისა და ქარის ენერჯის ფართო და ეფექტური გამოყენება გლობალურ ეკონომიკურ და სოციალურ პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც მძლავრად აისახება თანამედროვე ტექნოლოგიურ პროგრესზე.

მიმდინარე ეტაპზე მზის ენერჯეტიკული პოტენციალის ფართო გამოყენების მასშტაბური პრობლემა ეკონომიკურად ყველაზე ეფექტურად დაბალი ტემპერატურის სითბოს გამოყენების სფეროში არის გადაწყვეტილი (მაგალითად, ბრტყელი ჰელიოკოლექტორების სითბოზე მომუშავე გათბობისა და ცხელი წყლის მომარაგების სისტემები). მნიშვნელოვანი პროგრესია აგრეთვე მიღწეული მზის ენერჯიაზე მომუშავე წყალსატუმბი ტექნიკის განვითარებაში, სადაც ჰელიო-ფოტოელექტრულ წყაროებზე მომუშავე ელექტროტუმბოების ტექნიკურ-ეკონომიკური უპირატესობა იკვეთება.

ამავე დროს ეფექტური გამოყენების გარკვეულ არეალს ინარჩუნებს დაბალი ტემპერატურის სითბოზე მომუშავე ტუმბოებიც, განსაკუთრებით, თუ ჰელიოკოლექტორის ან რაიმე ტექნოლოგიის ნარჩენი სითბო გამოიყენება. ამ მიმართულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონკრეტული ამოცანაა ბრტყელ ჰელიოკოლექტორზე დაფუძნებული ცხელი წყლის მომარაგების სისტემის ეკონომიურობისა და ავტონომიურობის ამაღლება, ცხელი წყლის გადატუმბვის განხორციელებით თვით სისტემის თბური ენერჯის ხარჯზე, ენერჯის დამატებითი გარე წყაროების (ელექტროენერჯის ან ორგანული სათბობების) გამოყენების გარეშე.

ამ მიმართებით სერიოზულ ინტერესს იმსახურებს 1990-იან წლებში შემოთავაზებული თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბო (თამტ), რომლის ფუნქციონირება ერთ საკანში შუალედური მუშა აგენტის აორთქლებისა და კონდენსაციის პროცესების მონაცვლეობაზე არის დაფუძნებული და რომელიც პოტენციალურად დაბალი ტემპერატურის სითბოს მომხმარებელია. დაბალი პოტენციალის სითბოზე მომუშავე ტუმბოების დამუშავების სამუშაოები მსოფლიოს რიგ ქვეყნებში ტარდება.

ამ კონტექსტში სადისერტაციო სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა თამტ-ს ახალი მოდიფიკაციის ექსპერმენტული მოდელის შექმნა, მასში მიმდინარე თერმო-ჰიდროდინამიკური პროცესების თეორიული და ექსპერიმენტალური კვლევა (თერმოდინამიკური ციკლის კომპიუტერული მოდელირების ჩათვლით), ბრტყელ ჰელიოკოლექტორზე დაფუძნებული ცხელი წყლის მომარაგების სისტემასთან მიმართებაში მისი ქმედითუნარიანობისა და ეფექტიანი ფუნქციონირების პოტენციალის გამოვლენა და შეფასება.

შეიქმნა თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბოს (თამტ-ს) ახალი მოდიფიკაციის ექსპერმენტული მოდელი, ჩატარდა მასში მიმდინარე თერმო-ჰიდროდინამიკური პროცესების თეორიული და ექსპერიმენტალური გამოკვლევა. გამოკვლევულ იქნა თამტ-ს ახალი მოდიფიკაციის ექსპერიმენტული მოდელის მუშა საკანში მიმდინარე თერმო-ჰიდროდინამიკური პროცესები, იმ ძირითადი თავისებურების ფონზე, რომ მუშა აგენტის ორთქლის კონდენსაცია ორსიჩქარიან რეჟიმში ხორციელდება და მემბრანა მუშა საკნიდან არის გატანილი. კერძოდ, შესწავლილია მუშა საკნის ფუნქციონირება როგორც ჩაკეტილ პულსაციურ, ასევე გადატუმბვის რეჟიმებში.

მუშა საკნის ფუნქციონირების ჩაკეტილი პულსაციური რეჟიმების შესწავლის შედეგად დადასტურდა თხევადდგუმიანი მუშა საკნის თვითგაშვებადობა და ქმედითუნარიანობა, შესაძლებელი გახდა თამტ-ს ახალი მოდიფიკაციის წარმადობის წინასწარი შეფასება.

მუშა საკნის ტუმბოს რეჟიმში ფუნქციონირების შესწავლის შედეგად დადგინდა თამტ-ს მარგი ქმედების კოეფიციენტისა (მქკ) და დაწნევის (სასარგებლო დაწნევის) დამოკიდებულებების ექსპერიმენტალური მრუდი და წარმადობის რეალიზებადი დიაპაზონი.

თამტ-ს ახალი მოდიფიკაციის მოდელის მქკ-ისა და წარმადობის დადგენილი დონეები ადასტურებს ახალი მოდიფიკაციის პერსპექტიულობას ბრტყელ ჰელიოკოლექტორიანი ცხელი წყლის

მომარაგების სიტემის ეფექტურობისა და ავტონომიურობის ამაღლების ამოცანის გადაწყვეტის კონტექსტში.

ნაშრომმა აპრობაცია გაიარა ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე, მისი მასალების მიხედვით გამოქვეყნებულია სამი სამეცნიერო შრომა.

Abstract

Wide and efficient use of renewable sources of energy, particularly solar energy and wind energy, it is one of the global economic and social priorities, with a strong reflection in the modern technological progress.

At current stage, a large-scale problem of development the solar energy potential is solved in the most cost-effective way in the field of low temperature heat (e.g., heating and hot water supply on the basis of flat solar collectors). Significant progress has also been made in the development of the solar pumping, especially in the field of photovoltaic pumping systems that steady progress to victory in the competition with pumps that use other types of renewable energy.

At the same time, the pumps operating on low-temperature heat, also retain the area of effective use, especially if they use technological heat without significant heat losses or using waste heat. Consequently it became an important specific task in this field of R&D to improve the efficiency and autonomy of the hot water system based on a flat solar collector by pumping water using heat from the system itself, without any additional external sources of energy (electricity and fossil fuels).

In this context, it presents serious interest proposed in 1990s specific steam engine-pump (thermal powered membrane pump (TPMP)) alternating evaporation and condensation processes of an intermediate agent in the single working chamber and capable operate using low temperature heat. Besides, the pumps operating on low-grade heat are under development in several countries.

In this context, the dissertational work was aimed at creating an experimental model of a new modification of the TPMP, theoretical and experimental studies of thermo-hydrodynamic processes taking place in the pump (including analysis and computer modeling of the thermodynamic cycle), the identification and evaluation of its performance and potential of the effective functioning with respect to the hot water supply system based on a flat solar collector.

The experimental installation was set up and relevant experimental procedures have been developed. Thermo-hydrodynamic processes taking place in the working chamber of the experimental model the new modification of TPMP were studied taking into account the two main features: two-speed condensing mode and placing the membrane outside the working chamber. The operation of the working chamber was studied in the closed (pulsating) mode and the pumping mode as well.

Investigation of the working chamber with the liquid piston in the closed (pulsating) mode showed the ability the TPMP to self-start and continue to work reliably. Also became possible to pre-evaluate the performance of the new modification.

Investigation the working chamber with the liquid piston in the pumping regime allowed to experimentally determine the dependence of the efficiency of the TPMP on useful head and the attainable range of the pump performance.

Identified efficiencies and performance of the TPMP new modification confirms prospections of the modifications in the context of solving the problem of improving the efficiency and autonomy of the hot water system based on flat solar collector.

The results of the dissertation works are published in 3 scientific articles and are reported at the international scientific conference.

შინაარსი

ტიტულის გვერდი	i
ხელმოწერების გვერდი	ii
საავტორო უფლების გვერდი	iii
რეზიუმე ქართულ ენაზე	iv
რეზიუმე ინგლისურ ენაზე	vii
შინაარსი	ix
ნახაზების ნუსხა	xi
შესავალი	13
თავი 1. ალტერნატიულ განახლებად ენერჯიებზე მომუშავე წყლის	
სატუმბი სისტემები	18
1.1. ქარის ენერჯიაზე მომუშავე სატუმბი სისტემები	18
1.2. ბიომასის ენერჯიაზე მომუშავე სატუმბი სისტემები	22
1.3. განახლებადი ენერჯიის წყაროების ჰიბრიდულ სქემებზე მომუშავე სისტემები	24
1.4. მზის ფოტოელექტრული სატუმბი სისტემები	26
1.5. მზის სითბოზე მომუშავე სატუმბი სისტემები	30
1.5.1. ორთქლის ძრავის ციკლზე დაფუძნებული მზის სითბოს გამომყენებელი სატუმბი სისტემები	31
1.5.2. მეთალ-ჰიდრიდის გამომყენებელი სატუმბი სისტემები . .	33
1.6. აორთქლება-კონდენსაციის ციკლით მზის ენერჯიაზე მომუშავე მემბრანული ტუმბოს განვითარების ეტაპები	35
1.7. მიმოხილვის შედეგების შეჯამება და სადისერტაციო სამუშაოს ძირითადი ამოცანების განსაზღვრა	45
თავი 2. მზის ენერჯიაზე მომუშავე თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბოს	
ახალი მოდიფიკაცია და მისი თერმო-ჰიდროდინამიკური მოდელი	47
2.1. თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბოს ახალი მოდიფიკაცია ტიხრით	47

2.2. თბურამპრავიანი მემბრანული ტუმბოს თხევადდგუშიანი მოდიფიკაცია	55
2.3. თბურამპრავიანი მემბრანული ტუმბოს რეალური თერმოდინამიკური ციკლის ანალიზისა და კომპიუტერული მოდელირების შედეგები.....	60
თავი 3. თხევადი დგუშის თერმო-ჰიდროდინამიკის გამოკვლევის შედეგები.....	79
თავი 4. მოდიფიცირებული თბურამპრავიანი მემბრანული ტუმბოს ექსპერიმენტული მოდელი, თერმო - ჰიდროდინამიკური პარამეტრების საკვლევ სტენდი, კვლევის მეთოდიკა და შედეგები.....	84
4.1. თბურამპრავიანი მემბრანული ტუმბოს ექსპერიმენტული მოდელი.....	84
4.2. თბურამპრავიანი მემბრანული ტუმბოს ექსპერიმენტული მოდელის საკვლევ სტენდი, კვლევის მეთოდიკა და კვლევის ძირითადი შედეგები.....	86
ძირითადი დასკვნები.....	92
ლიტერატურა.....	94
დანართები.....	101

ნახაზების ნუსხა

ნახ.1. ქარის ენერგიაზე მომუშავე წყალსატუმბი სისტემა.....	19
ნახ.2. საქართველოს ტერიტორიის დარაიონება ქარის მაქსიმალური სიჩქარეების მიხედვით.....	21
ნახ.3. ბიომასის ენერგიაზე მომუშავე წყლის სატუმბი სისტემა.....	22
ნახ.4. ბიოგაზის წყლის სატუმბი სისტემა.....	23
ნახ. 5. ჰიბრიდული ენერჯის წყაროზე მომუშავე წყალსატუმბი სისტემა...	25
ნახ.6. მზის ფოტოელექტრული სატუმბი სისტემის სქემა აკუმულაციის ბატარეით.....	26
ნახ.7. საირიგაციო დანიშნულების ფოტოელექტრული სატუმბი სისტემა.	30
ნახ. 8. მზის სითბოზე მომუშავე სატუმბი სისტემა.....	30
ნახ.9.ორთქლის ძრავის ციკლზე დაფუძნებული სატუმბი სისტემა	31
ნახ. 10. თამტ–ს პრინციპული სქემა.....	41
ნახ.11.თამტ-ს რეალური თერმოდინამიკური ციკლი.....	43
ნახ. 12. ბრტყელ ჰელიოკოლექტორში თამტ-ს ინტეგრაციის პრინციპული სქემა.....	44
ნახ. 13. თამტ-ს ტიხრიანი მოდიფიკაციის პრინციპული.....	48
ნახ.14. თბურამძრავიანი ტიხრიანი მემბრანული ტუმბოს საცდელი მოდელის ექსპერიმენტული მაკეტი.....	52
ნახ. 15. თბურამძრავიანი ტიხრიანი მემბრანული ტუმბოს საცდელი მოდელის ექსპერიმენტული სტენდი.....	53
ნახ. 16. თამტ-ს თხევადდგუშიანი მოდიფიკაციის პრინციპული სქემა.....	57
ნახ. 17. თამტ-ს თხევადდგუშიანი მოდიფიკაციის ინტეგრირება ბრტყელ ჰელიოკოლექტორზე დაფუძნებული ცხელი წყლის მომარაგების სისტემაში.....	59
ნახ.18. თამტ-ს პულსაციური საკნის იდეალური თერმოდინამიკური ციკლი P-V და TS კოორდინატებში.....	64
ნახ.19.თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბოს პულსაციური საკნის	

რეალური თერმოდინამიკური ციკლი P-V და T-S კოორდინატებში.....	69
ნახ. 20. სითხის დგუმიანი თამტ-ს პულსაციური საკნის დაზუსტებული რეალური თერმოდინამიკური ციკლი P-V და T-S კოორდინატებში.....	74
ნახ.21. თამტ-ს პოტენციური მუშა აგენტების შედარება თერმოდინამიკური ციკლის კომპიუტერული მოდელის გამოყენებით.....	77
ნახ.22.თხევადი დგუშის თერმო-ჰიდროდინამიკის საკვლევი ექსპერიმენტული სტენდის სქემა.....	81
ნახ.23.თხევადი დგუშის პულსაციური გადაადგილებებისა და ხურების ზედაპირის ტემპერატურის სინქრონული პულსაციების ტიპური მრუდები.....	82
ნახ. 24. თამტ-ს ექსპერიმენტული მოდელის პრინციპული სქემა.....	85
ნახ.25.მოდულიცირებული თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბოს ექსპერიმენტალური მოდელის საკვლევი სტენდი.....	89
ნახ.26.თამტ-ს თეორიული და ექსპერიმენტული მოდელის "მქკ-სა და დაწნევას" შორის დამოკიდებულების ექსპერიმენტალური მრუდები.....	90
სურ.1.მზის საშუალო წლიური რადიაციის განაწილება საქართველოში....	34
სურ.2.პულსაციის რეჟიმის ფოტო.....	83
სურ.3.ს მოდულიცირებული თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბოს ექსპერიმენტალური მოდელის საკვლევი სტენდი.....	91

შესავალი

ენერგო რესურსების დაზოგვა და გამონაბოლქვი გაზების ემისიის შემცირება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა განვითარებული საზოგადოების მიზნების განხორციელებაში. თითქმის ნახევარი სითბოს დანაკარგებისა გაიფანტება გამონაბოლქვი გაზების სახით. ენერგო რესურსების დაზოგვისა და ნახშირორჟანგის ემისიის შესამცირებლად საჭიროა ენერგო ეფექტურობისა და ენერგოდაზოგვის გაუმჯობესება. იაპონიაში, რომელიც ცნობილია როგორც ერთ-ერთი ყველაზე ენერგოეფექტური ქვეყანა მოწინავე ტექნოლოგიებით, საერთო ჯამი სითბოს დანაკარგებისა მიწოდებული პირველადი ენერჯის 10% რიგისაა.

თანამედროვე მსოფლიოსათვის ეს პრობლემა ეხება ყველა სახელმწიფოს. ენერგეტიკული უსაფრთხოება და ეკოლოგიის შენარჩუნება ეს ის საკითხებია, რომლებიც საერთაშორისო დონეზე აღიარებულია, როგორც თანამედროვე საზოგადოების განვითარებისათვის ერთ-ერთ უმნიშველოვანესი წინაპირობა. ექსპერტების შეფასებით, ქვანახშირის მარაგები ამოიწურება უახლოეს 200 წელიწადში, ნავთობისა და ბუნებრივი აირის კი 60-70 წელიწადში. ენერგეტიკის აღნიშნული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ ძირითად გზას წარმოადგენს ენერჯის განახლებადი წყაროების თანდათანობითი და ფართო მასშტაბებით ათვისება. წარმოებული პროდუქციის მაღალი ენერგოტევადობა პირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკის ეფექტურობაზე. ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შემუშავება, დანერგვა და რელიზება მნიშვნელოვანია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემის გადასაჭრელად.

ზემოთ აღნიშნული პირობების და გამოწვევების არსებობის დროს, თავისთავად დგება საკითხი ენერჯის განახლებადი წყაროების ათვისების აუცილებლობაზე.

თანამედროვე ტექნიკის დარგებს შორის, რომლებიც მიმართულია ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისაკენ და წარმოების განვითარებისაკენ წყალმომარაგება

იკავებს მთავარ ადგილს. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა მოსახლეობისა და საწარმოების უზრუნველყოფისა, წყალმომარაგებას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს სასაოფლო სამეურნეო დანიშნულებისათვის მიწების ხელოვნური სარწყავი სისტემების მოწყობას. ეფექტური წყალსატუმბი სისტემების შექმნის პრობლემა არატრადიციული წყაროების გამოყენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

თემის აქტუალობა. ენერჯის განახლებადი წყაროების, პირველ რიგში, მზისა და ქარის ენერჯის ფართო და ეფექტური გამოყენება გლობალურ ეკონომიკურ და სოციალურ პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც მძლავრად აისახება თანამედროვე ტექნოლოგიურ პროგრესზე. მიმდინარე ეტაპზე მზის ენერჯეტიკული პოტენციალის ფართო გამოყენების მასშტაბური პრობლემა ეკონომიკურად ყველაზე ეფექტურად დაბალი ტემპერატურის სითბოს გამოყენების სფეროში არის გადაწყვეტილი (მაგალითად, ბრტყელი ჰელიოკოლექტორების სითბოზე მომუშავე გათბობისა და ცხელი წყლის მომარაგების სისტემები). მნიშვნელოვანი პროგრესია აგრეთვე მიღწეული მზის ენერჯიაზე მომუშავე წყალსატუმბი ტექნიკის განვითარებაში, სადაც ჰელიო-ფოტოელექტრულ წყაროებზე მომუშავე ელექტროტუმბოების ტექნიკურ-ეკონომიკური უპირატესობა იკვეთება. ამავე დროს ეფექტური გამოყენების გარკვეულ არეალს ინარჩუნებს დაბალი ტემპერატურის სითბოზე მომუშავე ტუმბოებიც, განსაკუთრებით, თუ ჰელიოკოლექტორის ან რაიმე ტექნოლოგიის ნარჩენი სითბო გამოიყენება. ამ მიმართულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონკრეტული ამოცანაა ბრტყელ ჰელიოკოლექტორზე დაფუძნებული ცხელი წყლის მომარაგების სისტემის ეკონომიურობისა და ავტონომიურობის ამაღლება, ცხელი წყლის გადატუმბვის განხორციელებით თვით სისტემის თბური ენერჯის ხარჯზე, ენერჯის დამატებითი გარე წყაროების (ელექტროენერჯის ან ორგანული სათბობების) გამოყენების გარეშე. ამ მიმართებით სერიოზულ ინტერესს იმსახურებს 1990-იან წლებში შემოთავაზებული თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბო (თამტ), რომლის ფუნქციონირება ერთ საკანში

შუალედური მუშა აგენტის აორთქლებისა და კონდენსაციის პროცესების მონაცვლეობაზე არის დაფუძნებული და რომელიც პოტენციალურად დაბალი ტემპერატურის სითბოს მომხმარებელია. რამდენადაც, საკმარისი ეფექტურობისა და საიმედოობის მიღწევის შემთხვევაში ასეთი ტიპის ტუმბოს ცხელი წყლის მომარაგების ხსნეული სისტემის კაპიტალური და საექსპლოატაციო მაჩვენებლების სერიოზული გაუმჯობესების პოტენციალი გააჩნია, დაბალი პოტენციალის სითბოზე მომუშავე თბური მანქანებისა და ტუმბოების დამუშავების სამუშაოები მსოფლიოს რიგ ქვეყნებში ტარდება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **სამუშაოს მიზანს** წარმოადგენდა თამტ-ს ახალი მოდიფიკაციის ექსპერიმენტული მოდელის შექმნა, მასში მიმდინარე თერმო-ჰიდროდინამიკური პროცესების თეორიული და ექსპერიმენტალური კვლევა (თერმოდინამიკური ციკლის კომპიუტერული მოდელირების ჩათვლით), ბრტყელ ჰელიოკოლექტორზე დაფუძნებული ცხელი წყლის მომარაგების სისტემასთან მიმართებაში მისი ქმედითუნარიანობისა და ეფექტიანი ფუნქციონირების პოტენციალის გამოვლენა და შეფასება.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა თერმო-ჰიდროდინამიკური პროცესები (თამტ)-ს ახალი მოდიფიკაციის ექსპერიმენტული მოდელის მუშა საკანში, იმ ძირითადი თავისებურების გათვალისწინებით, რომ მუშა აგენტის ორთქლის კონდენსაცია ორსიჩქარიან რეჟიმში ხორციელდება, ხოლო მემბრანა გატანილია მუშა საკნიდან, კერძოდ, მუშა საკნის ფუნქციონირება როგორც ჩაკეტილ პულსაციურ, ასევე გადატუმბვის რეჟიმებში.

კვლევის მეთოდები მოიცავდა თამტ-ში მიმდინარე თერმო-ჰიდროდინამიკური პროცესების თერმოდინამიკურ ანალიზს და თერმოდინამიკური ციკლის კომპიუტერულ მოდელირებას, თამტ-ს ექსპერიმენტალური მოდელის ჩაკეტილი პულსაციური და გადატუმბვის რეჟიმების ექსპერიმენტალურ კვლევას.

ნაშრომის ძირითადი შედეგებია: თამტ-ს დაზუსტებული თერმოდინამიკური ციკლი, გადახურებულ ზედაპირზე სითხის დგუშის დაჯახების თავისებურებების გათვალისწინებით; ციკლის კომპიუტერული მოდელი; თამტ-ს ახალი მოდიფიკაციის ექსპერიმენტული მოდელი და მასში მიმდინარე თერმო-ჰიდროდინამიკური პროცესების ექსპერიმენტალური კვლევის შედეგები, თამტ-ს "მარგი ქმედების კოეფიციენტისა (მქკ) და დაწნევა" დამოკიდებულებების ექსპერიმენტალური მრუდის ჩათვლით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე უკავშირდება თამტ-ს ახალი მოდიფიკაციის თავისებურებათა და პარამეტრების პირველ კვლევას, კერძოდ, თამტ-ს დაზუსტებული თერმოდინამიკური ციკლის პირველ ანალიზსა და კომპიუტერულ მოდელირებას, ახალი მოდიფიკაციის ექსპერიმენტალური მოდელის პირველად შექმნას და მასში მიმდინარე თერმო-ჰიდროდინამიკური პროცესების ექსპერიმენტალურ კვლევას, ახალი მოდიფიკაციისათვის დამოკიდებულებების "მქკ - დაწნევა" ექსპერიმენტალური მრუდის მიღების ჩათვლით.

ნაშრომის შედეგების გამოყენების სფერო არის გათბობისა და ცხელი წყლის მომარაგების სისტემები. კონკრეტულად, თამტ-ს მოცემული მოდიფიკაცია ბრტყელ ჰელიოკოლექტორზე დაფუძნებული ცხელი წყლის მომარაგების ავტონომიურ სისტემაში გამოყენებაზე არის გამიზნული. ზოგადად ნაშრომის შედეგების გამოყენების სფერო უფრო ფართოა და მზის ენერჯიაზე და დაბალი ტემპერატურის ნებისმიერი სხვა ტიპის სითბოზე (ნარჩენი სითბოს ჩათვლით) მომუშავე სატუმბ სისტემებს მოიცავს. თამტ-ს ეფექტური რეალიზაცია და დანერგვა საშუალებას მოგვცემს თვისებრივად ავამაღლოთ ხსენებული ტიპის ცხელი წყლის მომარაგების სისტემის ავტონომიურობა, გადატუმბვისათვის ენერჯის ნებისმიერი დამატებითი წყაროს (მზის ენერჯის გარდა) საჭიროების გამორიცხვის გზით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ელექტროქსელებიდან მოშორებული ზონების (მათ შორის, მთიანი

რეგიონების) ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისათვის, ტურიზმის განვითარების ჩათვლით.

ნაშრომმა აპრობაცია გაიარა ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე, მისი მასალების მიხედვით გამოქვეყნებულია სამი სამეცნიერო შრომა.

თავი 1. ალტერნატიულ განახლებად ენერჯიებზე მომუშავე წყლის სატუმბი სისტემები


წარმოდგენილ თავში მოცემულია კვლევისა და დამუშავების სფეროს თანამედროვე მდგომარეობის მიმოხილვა და ანალიზი, დასახულია გამოკვლევის ამოცანები. განახლებადი ენერჯიის წყაროების წყლის სატუმბი სისტემები ხუთ ძირითად ჯგუფად იყოფიან. ესენია: 1. ქარის ენერჯიაზე მომუშავე სატუმბი სისტემები; 2. ბიომასის ენერჯიაზე მომუშავე სატუმბი სისტემები; 3. განახლებადი ენერჯიის წყაროების ჰიბრიდულ სქემებზე მომუშავე სისტემები; 4. მზის ფოტოელექტრული სატუმბი სისტემები; 5. მზის სითბოზე (ბრტყელი ჰელიოკოლექტორის ჩათვით) მომუშავე სატუმბი სისტემები. მიმოხილვის ძირითადი ნაწილი ეძღვნება ამ სისტემათა შედარებით ანალიზს.

ენერჯიის განახლებადი წყაროების, მაგალითად, ბრტყელი ჰელიოკოლექტორის სითბოს ან დაბალი ტემპერატურული პოტენციალის სხვა ტიპის იაფი ან ნარჩენი სითბოს ბაზაზე წყლის სატუმბი მოწყობილობის შექმნა წარმოადგენს რა აქტუალურ ამოცანას, ბოლო ათწლეულებში, ამ ამოცანის პოტენციალურად ეფექტური გადაწყვეტის კონტექსტში, დამმუშავებელთა ყურადღება თბურამძრავიანმა მემბრანულმა ტუმბომ (თამტ) მიიპყრო, რომლის ანალიზიც აგრეთვე წარმოდგენილია მოცემულ თავში.

1.1. ქარის ენერჯიაზე მომუშავე სატუმბი სისტემები

ამ დროისათვის მსოფლიოში ექსპლუატაციაში არის ქარის ენერჯიაზე მომუშავე ასი ათასი წყლის სატუმბი სისტემა. მათი უმრავლესობა მუშაობს იმ რაიონებში, სადაც არ არის ცენტრალიზებული ელექტრომომარაგება. ყველაზე ხშირად მათ იყენებენ ისეთ შემთხვევებში, როდესაც წყლის სადღეღამისო მოთხოვნილება 10 მ^3 -ს არ აჭარბებს. წყლის გადატუმბვა არცთუ დიდი ქარის ენერჯიის სისტემების გამოყენებით გახდა პოპულარული თავისი მოქნილობით სხვა მექანიკურ სისტემებთან შედარებით და მისი უპირატესობით - დააგროვოს ელექტროენერჯია სხვა

საჭიროებებისთვისაც (დააგროვოს ელექტროენერგია მაღლა განლაგებულ რეზერვუარში წყლის დაგროვებით და საჭიროების შემთხვევაში წყლის გრავიტაციული პოტენციალი ისევ ელექტროენერგიად აქციოს).



ნახ.1. ქარის ენერგიაზე მომუშავე წყალსატუმბო სისტემა

ქარის ენერჯის წყლის სატუმბო სისტემებში ნახ.1 ქარის ენერჯის როტორი შეერთებულია მუდმივმაგნიტებიან სინქრონულ გენერატორთან, რომელიც ქარის ენერჯას გარდაქმნის ელ. ენერჯად. სინქრონული გენერატორები უპირველესყოვლისა განკუთვნილია აკუმლატორის ბატარეის დასატენად, ასინქრონული გენერატორები კი ტიპური არიან ქარის დიდ ტურბინებში. გენერატორი შემდეგ უერთდება საერთო ინდუქციურ ძრავს, რომელსაც რწყვისთვის მოქმედებაში მოჰყავს ცენტრიდანული ტუმბო. [1] - ქარის ენერჯია შეიძლება წარმატებულად იქნეს გამოყენებული გრუნტის წყლების გადასაქაჩად იმ ადგილებისათვის, სადაც ადექვატური ქარის ენერჯის რესურსებია. საჭიროების მიხედვით წყალი შეიძლება იყოს ამოქაჩული მიწის ზედა მაღალ საცავამდე და იქიდან სიმძიმის ძალის მოქმედებით გადანაწილებული. [2] - კვლევებმა აჩვენეს რომ ტურბინების ფრთებს შეუძლიათ გარდაქმნან კინეტიკური ენერჯის 35%, ამ ენერჯის 51% შეიძლება დაიკარგოს სისტემის ელექტრულ კომპონენტებზე (გამმართველი, აკუმლატორი, ინვერტორი). როგორც


მაქსიმუმი, მხოლოდ 17% გამოიყენება წყლის გადასაქაჩავად. ენერჯის გარდაქმნის პროცესში იკარგება ენერჯის დიდი რაოდენობა. კინეტიკური ენერჯის შენახვა სატუმბ სისტემებში დატვირთვის მიერთებამდე წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საკითხს.

ეკონომიკურად ქარის ენერჯიაზე მომუშავე წყლის სატუმბი სისტემების გამოყენების შეფასება მოხდა სვადასხვა ქვეყნებისათვის: [3] [4] ინდოეთი, [5] ჩინეთი, [6] კენია, [7] [8] იორდანია, [9] ომანის სასულთნო. მიმდინარე ხარჯების მიხედვით ქარის წყალსატუმბი სისტემები შედგებიან: სისტემის ღირებულების, პირველადი დადგმის ღირებულების, ექსპლოატაციისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებისაგან. სისტემის ღირებულება მოიცავს მთელი სისტემის ღირებულებას, მათ შორის კომპის, სადენების, კონდენცირების ბლოკისა და წყლის ტუმბოსი; დადგმის ღირებულება შეიცავს მიწის ღირებულებას, მიტანისა და დაყენების ღირებულებას; წლიური ღირებულება ექსპლოატაციასა და მომსახურებაზე ივარაუდება სისტემის საწყისი ღირებულების 3%-ის ოდენობით. ტექნიკური მომსახურების ხარჯები მოიცავენ: ტურბინის ფრთების შეღებვის ხარჯებს 6 წელიწადში ერთხელ, ტუმბოს სარქველების შეცვლის ხარჯებს 4 წელიწადში ერთხელ. დანადგარის საერთო ხარჯი შეიძლება გამოისახოს როგორც, აეროდინამიკული სისტემის ნომინალური ელექტრონული სიმძლავრის ფუნქცია. აქედან გამომდინარე ხარჯების მოცულობითი მნიშვნელობა მცირდება სისტემის სიმძლავრის ზრდით. ქარის ტურბინის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის წლიური ღირებულება უდრის საწყისი ღირებულებისა და სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლიობის(წლებში) ფარდობას დამატებული წლიური ექსპლოატაციისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები. კილოვატ საათი ენერჯის ღირებულება კი უდრის წლიური ღირებულება გაყოფილი წლიურ ენერჯო გამომუშავებაზე.

ეკოლოგიის მხრივ: [10-11] - ქარის ტურბინები იწვევენ ხმაურს მექანიკურად და აეროდინამიკულად; [12,13,16] - ვიზუალური ზემოქმედება განპირობებულია ფერით, ზომით, მანძილით ქარის

ტურბინის ადგილამდე და მოციმციმე ჩრდილებით; [14] - ქარის ტურბინები ირიბად, მაგრამ მაინც მოქმედებენ კლიმატის გლობალურ ცვლილებაზე; [15] - სისტემა ახდენს უარყოფით გავლენას ცხოველებსა და ფრინველებზე.

შეზღუდვები: ქარის ენერჯის წყლის სატუმბი სისტემები [17] - არინ უფრო ძვირი, ვიდრე ფოტოელექტრული სისტემები; ქარის სიჩქარე არ არის თანაბარი, რაც გავლენას ახდენს წარმადობაზე; დანაკარგები ქარის წყალსაქაჩ სისტემებში მეტია, ვიდრე ფოტოელექტრულში, აქედან გამომდინარე მოითხოვება ტექნიკური მომსახურება მექანიკური კომპონენტებისათვის; [18]-ხმაურის ეფექტი (გაღვიძების) არის რთული საკითხი ქარის ტურბინების განთავსებისათვის; ქარის ენერჯის წყალსაქაჩი სისტემები იკავებენ სასოფლო სამეურნეო მიწებს.




ნახ.2. საქართველოს ტერიტორიის დარაიონება ქარის მაქსიმალური სიჩქარეების მიხედვით

წყლის საქაჩმა სისტემებმა, რომლებიც იყენებენ ქარის ენერჯას საქართველოს პირობებისათვის შეიძლება ნაკლებად ჰპოვოს გამოყენება, რადგან ისეთ ადგილებში სადაც ქარის სიჩქარე მუდმივია, ნაკლებად არის

სახნავ-სათესი მიწები. შესაბამისად, ქარის ენერჯის გამოყენება სარწყავი სისტემებისათვის არარენტაბელურია.

1.2. ბიომასის ენერჯიაზე მომუშავე სატუმბი სისტემები


ბიომასის ენერჯიაზე მომუშავე სატუმბი სისტემები მასისაგან მიღებული მეთანისა და სხვა წვადი კომპონენტების დიზელის ძრავის სათბობად გამოყენებას ეფუძნება. გაზისა და ბიოგაზის წყალსატუმბი სისტემები შედგება ბიომასის გაზგენერატორისა და ცენტრიდანულ ტუმბოსთან შერწყმულ ორგვარი საწვავის დიზელური ძრავისაგან.



ნახ.3. ბიომასის ენერჯიაზე მომუშავე წყლის სატუმბი სისტემა

გაზიფიკაცია წარმოადგენს მყარი ან თხევადი საწვავის, მყარი კარბონატული ნარჩენებისაგან თავისუფალ გაზისმაგვარ საწვავად გარდაქმნის პროცესს. მიღებული ცნობილია როგორც გაზის მწარმოებელი. გაზის მწარმოებელი წარმოადგენს ნარევეს 18-22% ნახშირბედის მონოქსიდისა, 15-19% წყალბადის, 1-5% მეთანის და 45-55% აზოტისა, სითბომბადი უნარით მიახლოებით 1100 კილოკალორია/კილოგრამი. ეს გაზის მწარმოებელი შეიძლება გამოყენებული იყოს მეორადი სახის

საწვავად დიზელის ძრავებისათვის, ცვლის რა დიზელის საწვავის 65-75%-ს. ბიომასის გაზიფიკაცია ეფექტურად გამოიყენება ელექტრო ენერჯისა და საწვავის დეცენტრალიზებული წარმოებისას. ბიომასის წყალსატუმბი სისტემის ბლოკ სქემა ნაჩვენებია ნახ. 3-ზე.



ნახ.4. ბიოგაზის წყლის სატუმბი სისტემა

ბიოგაზი გამოიყენება როგორც საწვავი შიგა წვის ძრავებისათვის, წყლის საქაჩად გამოყენებისათვის. 10 სული საქონელის მფლობელ ფერმერს თავისუფლად შეუძლია ბიოგაზის გენერატორის ბლოკის დაყენება და ყოფაცხოვრებაში დიზელის ძრავიანი ტუმბოს გამოყენება. მსხვილი რქოსანი საქონლის მწარმოებლებს შეუძლიათ აწარმოონ ბიოგაზი სარწყავი სისტემების შიგა წვის ძრავების საწვავად. ბლოკ სქემა ბიოგაზის ორმაგი საწვავის ძრავიანი წყლის სატუმბი სისტემის მოცემულია ნახ.4-ზე.

ეკონომიკური მხარე: [19] - სისტემის საერთო ღირებულება მოიცავს სისტემის საწყის კაპიტალ დაბანდებებსა და ხარჯებს დადგმის, ექსპლატაციისა და მომსახურებისათვის. მაქსიმალური წლიური რემონტისა და შეცვლების ღირებულება ივარაუდება 10% კაპიტალური


ხარჯებიდან; [20] - შეისწავლეს სისტემების ტექნიკურ - ეკონომიკური მიზანშეწონილობა ინდოეთისათვის. დაასკვნეს რომ ბიომასის წყალსაქაჩი სისტემების გამოყენება ფინანსურად არა მიმზიდველია ელ. ენერჯის ჩანაცვლების თვალსაზრისით. გაზის მწარმოებლების გამოყენებას ორმაგი სათბობის ძრავიანი ტუმბოებისათვის აქვს აზრი იმ ადგილებში, სადაც ბიომასის პირველადი ნედლეული ხელმისაწვდომად მოიპოვება. ასეთი ადგილებისათვის მათი გამოყენება ფინანსურად უფრო მომგებიანია, ვიდრე ფოტოელექტრული ან ქარის ენერჯის გამოყენება; [21-23] - მხოლოდ რამოდენიმე კვლევა იქნა ჩატარებული ბიომასის წყლის საქაჩ სისტემებზე ბიოგაზის საწვავის ცუდი სითბომბადი თვისებების გამო.

შეზღუდვები: 1.სისტემის პოტენციალი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, როგორცაა რესურსის არსებობა, მოთხოვნა, მისაწვდომობა და ინვესტირების ტენდენცია; 2. ექსპლოატაციისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები დიდია სხვა განახლებადი ენერჯის წყალსაქაჩ სისტემებთან შედარებით; 3. ბიოსაწვავს შეუძლია წარმოქმნას კოროზია ძრავის კომპონენტებში; 4. დიდია დანაკარგები ენერჯის გადაცემისას ძრავიდან ტუმბოზე; 5. ბიომასის საწვავს აქვს ძალიან დაბალი კალორიულობა, რაც გავლენას ახდენს ძრავის მუშაობაზე.

საქართველოს პირობებისათვის ასეთი წყალსატუმბი სისტემების გამოყენება უფრო სახარბიელოა საცხოვრებელ სახლთან ახლოს მდებარე საბოსტნო ნაკვეთების მოსარწყავად და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. სახნავ-სათესი მიწები, კი როგორც წესი განლაგებულია სახლიდან მოშორებით. შესაბამისად ბიო ნარჩენების და ნაკელის ტრანსპორტირება გაზრდის ასეთი სისტემების საექსპლუატაციო ხარჯებს.

1.3. განახლებადი ენერჯის წყაროების ჰიბრიდულ სქემებზე მომუშავე სისტემები

ჰიბრიდული სქემები აერთიანებენ ორ ან მეტ ფორმას ენერჯის წყაროებისას. "მზის ფოტოელექტრული-ქარის სიჩქარის" ჰიბრიდული სქემა მოცემულია ნახაზზე 5.




ნახ. 5. ჰიბრიდული ენერჯის წყაროზე მომუშავე წყალსატუმბო სისტემა

მზის თბური და ბიომასის ენერჯების გამოყენება ჰიბრიდულ სქემებში ნაკლებ პოპულარულია ენერჯის გარდაქმნის დაბალი ეფექტურობის გამო.

[24]-საუდის არაბეთი - კვლევები აჩვენებენ რომ ოპტიმალურ შეხამებას, "მზე-ქარის სიჩქარეს" მიყვავართ მინიმალურ კაპიტალ დაბანდებებამდე, მიახლოებით 70%-ის ოდენობით. ჩატარებული კვლევები აჩვენებენ ჰიბრიდული სქემების კვლევების საჭიროების აუცილებლობას; [25] - აშშ. ეფექტურობის პიკის მისაღწევად შესწავლილ იქნა წარმადობა "ქარი-მზე" ჰიბრიდული სისტემისა შემადგენელი ნაწილების სხვადასხვა კონფიგურაციის დროს. მათ შეიმუშავეს, მმართავი დასაბალანსებლად სიტუაციისა, როცა ჰიბრიდული სისტემის ერთი ნაწილის სიმძლავრე საჭირო სიმძლავრის დიაპაზონზე ნაკლებია, სარწყავი სისტემის ტუმბოს საკვებად გამოყენებული იქნას მეორე ნაწილის სიმძლავრე. წყაროთა წვლილების ოპტიმალური შეხამებით კაპიტალ დაბანდებებათა მინიმიზაცია არის შესაძლებელი. მთლიანობაში კი ითვლება, რომ ჰიბრიდული სქემები შემდგომ კვლევებს და დამუშავებას საჭიროებს.

1.4. მზის ფოტოელექტრული სატუმბი სისტემები.

მზის ფოტოელექტრული წყლის სატუმბი სისტემა ფოტოელემენტებით გარდაქმნის მზის სხივების ენერგიას ელექტროენერგიაში, რომლითაც ამუშავებს ელექტროტუმბოს. იგი შედგება მზის ფოტოელექტრული პანელების, ძრავისა და ტუმბოსაგან. კონსტრუქციის მიხედვით ის მოითხოვს აკუმლატორს (შენახვის ბატარეას) ნახ.6 და დამუხტვის რეგულატორს. ძრავი ირჩევა მოთხოვნილი სიმძლავრისა და სისტემის გამომავალი ნაკადის ტიპის მიხედვით. თუ ძრავი იყენებს ცვლადი დენის ნაკადს, მაშინ აუცილებლად საჭიროა მუდმივი დენის ინვერტორის დაყენება. უბატარეო სისტემები არიან მცირე ღირებულების და ითხოვენ ნაკლებ მომსახურებას, თუმცა შენახვის ბატარეებს აქვთ უპირატესობა უზრუნველყონ თანამიმდევრული მუშაობა მზის მცირე ნათების ან უმზეო საათებში. წყლის საცავი ავზის დამატება არის მეტად ეკონომიური ვიდრე აკუმლაციის ბატარეებისა. მზის ფოტოელექტრულ წყლის სატუმბ სისტემებში გამოიყენებიან მუდმივი დენის (ჯაგრისიანი და უჯაგრისო მუდმივი მაგნიტის, ცვლადი მაგნიტური წინაღობის გადამრთველი) და ცვლადი დენის ძრავები (სინქრონული და ასინქრონული). ძრავის არჩევა



ნახ.6. მზის ფოტოელექტრული სატუმბი სისტემის სქემა აკუმუმულაციის ბატარეით

დამოკიდებულია ზომებზე, მოთხოვნილ ეფექტურობაზე, ფასზე, საიმედოობასა და ვარგისიანობაზე. მუდმივი დენის ანუ უშუალო შეერთების ძრავები არიან მიმზიდველნი იმით, რომ შეიძლება მათი პირდაპირ ჩართვა ფოტოელექტრულ მასივებში. ისინი არ გამოდგებიან მაღალი დაწნევის (7კილოვატის ზემოთ) გამოყენებისათვის, სადაც ცვლადი დენის ინდუქციური ძრავები, მუდმივი დენის ცვლად დენზე გარდამქმნელით მოითხოვება. ინვერტორის გამოყენება იწვევს დამატებით ხარჯებსა და ენერჯის დანაკარგებს.

მნიშვნელოვანია მზის ფოტოელექტრული წყალსატუმბი სისტემების მართვა მაქსიმალური ეფექტურობის მისაღწევად, რისთვისაც შემუშავებულია მართვის სხვადასხვა მეთოდები: ინტელექტუალური ალგორითმის მეთოდი [26]; არაზუსტი ლოგიკის მეთოდი [27]; პროგრამირებადი ლოგიკის სქემა [28]; პროპორციულ-ინტეგრალური არაზუსტი ლოგიკის სიჩქარის მმართავი [29]; არაზუსტი ოპტიმიზაცია [30]; სტანდარტული სიხშირის გარდამქმნელი [31].

მზის ფოტოელექტრული წყლის სატუმბი სისტემები დღესაც წარმატებით გამოიყენებიან ცენტრიდან მოშორებულ ადგილებში, რომლებიც არ არიან მიერთებული ცენტრალურ ელ. ქსელებთან.

ფოტოელექტრული წყალსატუმბი სისტემების წარმადობა განპირობებულია ძრავისა და ტუმბოს ტიპების, ფოტოელექტრული პანელების ოპტიმალური ზომების, მოდულების, პანელების გაცივებისა და სისტემების მართვის მეთოდებზე. მზის ფოტოელექტრული წყალსაქაჩი სისტემების კვლევები აჩვენებენ რომ : [32] - აქვთ ექვს წლიანი უკუგების პერიდი; [33]-არიან უფრო ეფექტური, ვიდრე ტრადიციული წყალსაქაჩი სისტემები; [34]-წარმადობა ძლიერ არის დამოკიდებული გარემო პარამეტრებზე, როგორებიცაა მზის ინტენსიურობა, გარემოს ტემპერატურა, ტენიანობა, ქარის სიჩქარე; შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეამცირონ CO₂-ს ემისია 25 წლის განმავლობაში; [35,36]-ისინი კარგად გამოყენებადი არიან სასოფლო ადგილმდებარეობებისათვის, განსაკუთრებით ელექტრო ენერჯის დეფიციტისას; [37,38]-პირდაპირი გადაბმის ფოტოელექტრული

წყალსაქაჩი სისტემები არიან შესაბამისი დაბალი დაწნევის სარწყავი გამოყენებისთვის და მცირე მაშტაბის სარწყავი გამოყენებისათვის; გარდა ამისა შემუშავებულ იქნა ავტომატური რწყვის სისტემა, რომელიც ახდენს სარწყავად საჭირო წყლის რაოდენობის ოპტიმიზაციას; [39]-სისტემის უკეთესი წარმადობა ნაკლები ფოტოელექტრული არეთი მიიღწეოდა მასივის ზუსტად შერჩეული კონფიგურაციით; [40] - ფოტოელექტრული მასვების ზომებს ბევრად განაპირობებს მზის რადიაციის არსებობა; [41] - შეიძლება მანქანური დანაკარგების შემცირება, არეს ორიენტაციის მართვა, სიმძლავრის მიდევნების წერტილების მაქსიმიზირება; [42]-სისტემის წარმადობა დამოკიდებულია საერთო სატუმბ დაწნევაზე და სიმძლავრეზე მასივის გამოსასვლელზე. **ეკონომიკური მხარე:** სისტემის დასაყენებელი ინვესტიციის საერთო მოცულობა შეიცავს იმ კომპონენტების ღირებულებებს, როგორებიცაა: პანელები, ინვერტორები ელ. კაბელები, ტუმბოები და მილები [43]. ფოტოელექტრული პანელების ღირებულება სხვა ენერგო გენერაციის მოწყობილობებთან შედარებით მაღალია (დიზელისა და ელ. ძრავები). მიუხედავად ამისა ფოტოელექტრული სისტემები არ ითხოვენ საექსპლუატაციო დანახარჯებს თავისი არსებობის განმავლობაში ტექნიკური მომსახურებისათვის. ფოტოელექტრული სისტემები განკუთვნილია, სოფლის ისეთი რაიონებისათვის რომლებიც განიცდიან ელ. ენერჯის უკმარისობას. ფოტოელექტრული მოდულების ღირებულების შემცირება მომავალში შექმნის ამ სისტემების ოპტიმიზაციის უფრო მეტ შესაძლებლობებს [44]. ფოტოელექტრული ენერჯის გამოყენება ითვლება ძირითად რესურსად ქვეყნებისათვის, რომლებიც განლაგებულნი არიან ტროპიკულ რეგიონებში სადაც მზის პირდაპირმა ნათებამ შეიძლება მიაღწიოს 1000 ვტ/მ².


ეკოლოგია: ფოტოელექტრული სისტემები მოიხმარენ ენერჯის დიდ რაოდენობას და ასევე გამოყოფენ GHG-ს წარმოების, აწყობის, სისტემის ბალანსის, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და რეციკლირების დროს. იქნა გამოკვლეული 5 განსხვავებული ტიპის ფოტოელექტრული პანელის სასიცოცხლო ციკლის შეფასება ემისიის სიჩქარის თვალსაზრისით [45-50].

ხუთ ფოტოელექტრულ მოდულს შორის კადმიუმის ტელურიდის ფოტოელექტრულ სისტემას აქვს ეკოლოგიური უპირატესობები. ფოტოელექტრული სისტემების ეკოლოგიური შედეგები შეიძლება იყოს შემცირებული საწარმოო პროცესების გაუმჯობესების ხარჯზე, მოდულის მასალების მეორადი გამოყენებით და პანელის სისქისა და სხვა ნედლეულის შემცირებით.

შეზღუდვები: 1. სისტემის წარმადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მზის ინტენსიურობის რყევებზე [51-52]; 2. ისინი ვერ გახდნენ კომერციულად პოპულარული არასათანადო ფინანსური სქემების გამო [53]; 3. ფოტოელექტრულ ელემენტებში (უჯრედებში) ენერჯის გარდაქმნის განმავლობაში სითბო გენერირდება ფოტოელექტრულ ელემენტებში, რაც გავლენას ახდენს ფოტოელექტრული ელემენტის გამოსავლიანობაზე [54]; 4. ფოტოელექტრული პანელის ზედაპირზე მოგროვილ მტვერს, დაყენებიდან რამოდენიმე კვირაში შეუძლია დაკარგოს გამომუშავებული ენერჯის 30%-მდე, [55-56]; 5. სისტემებიდან სითბოს ამოღებისათვის უნდა იყოს შემუშავებული ეფექტური სითბო მშთანთქმელი 6. გარემოს ფარდობითი ტენიანობა და ქარის სიჩქარე გავლენას ახდენს სისტემის წარმადობაზე [57]; 7. მზის ფოტოელექტრული პანელები აწარმოებენ გლობალურ დათბობას მთელი თავიანთი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში [58]; 8. ფოტოელექტრული ენერჯის გარდაქმნის ეფექტურობა არის ძალიან დაბალი.

საირიგაციო დანიშნულების ასეთი სარწყავი სისტემა წარმოდგენილია ნახ. 7-ზე. სისტემა შეიცავს მზის ფოტოელექტრულ მოდულს, ელექტრენერჯის გარდამქმნელს, ჭაში მოტივტივე ელექტროტუმბოს, წყლის დასაგროვებელ რეზერვუარს და ჭავლური მორწყვის სისტემას.


ბოლო წლებში ფოტოელექტრული სატუმბი სისტემები უაღრესად კონკურენტუნარიანი ხდებიან განახლებად ენერჯიებზე დაფუძნებულ სისტემათა შორის, რაც მზის ენერჯის ფოტოელექტრული გარდამქმნელების



ნახ. 7. საირიგაციო დანიშნულების ფოტოელექტრული სატუმბი სისტემა ტექნიკური და ეკონომიკური მახასიათებლების უწყვეტ და საკმარისად სწრაფ გაუმჯობესებას უკავშირდება.

1.5. მზის სითბოზე მომუშავე სატუმბი სისტემები.

მზის ენერჯის გამომყენებელი წყლის სატუმბი მოწყობილობები ჰელიოტექნიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. მზის სითბოს წყალსაქაჩი სისტემები აქამდე არაკომერციალიზებული არიან, ენერჯის გარდაქმნის დაბალი ეფექტურობის გამო. მზის ენერჯიაზე მომუშავე წყლის სატუმბი სისტემების ძირითადი კომპონენტები გამოსახულია ნახ.8-ზე. სისტემაში ხდება მზის თბური




ნახ. 8. მზის სითბოზე მომუშავე სატუმბი სისტემა

ენერჯის გარდაქმნა მექანიკურ ენერჯიად. მზის თბური ენერჯის გარდაქმნელი მზის კოლექტორების ბრტყელი აბსორბერები(ფირფიტები), მათ შორის კონცენტრატორები შეიძლება გამოყენებული იქნეს სითხეში წნევის შესაქმნელად. ეს მაღალი წნევის სითხე შეიძლება იყოს გამოყენებული უშუალოდ თერმოდინამიკურ ციკლებში (რანკინის,ბრაიტონის, სტირლინგის) ან გამოყენებული არაპირდაპირი სახით მეორადი სამუშაო სითხის მიერ, მექანიკურ ენერჯიად გარდაქმნისათვის. გარდაქმნილი მექანიკური ენერჯია გამოიყენება ტუმბოს ფუნქციონირებისათვის. მზის სითბოს სატუმბო სისტემების ძირითადი უპირატესობაა მათი დაბალი ფასი, ის რომ არ თხოულობენ ტექნიკურ მომსახურებას და გარეშე მოძრავ მექანიკურ კომპონენტებს.

1.5.1.ორთქლის ძრავის ციკლზე დაფუძნებული მზის სითბოს გამომყენებელი სატუმბო სისტემები.

[59-60] - შემუშავეს ნახ.9-ზე ნაჩვენები სისტემა. ორთქლის ენერჯეტიკულ ციკლზე დაფუძნებულ, მზის სითბოს გამომყენებელ წყალსაქარ სისტემას, მზის ორთქლგენერატორითა და რეზერვუარით, მზის ბრტყელი კოლექტორის 1მ² აპერტურის არეთი და პანტანე მუშა სითხით შეეძლო აეტანა 336 ლიტრი/დღე, 250ლ/დღე და 170 ლ/დღე, შესაბამისად 6, 8 და10 მეტრზე. საერთო ეფექტურობით 0,12% - 0,14% შორის.



ნახ.9.ორთქლის ძრავის ციკლზე დაფუძნებული სატუმბო სისტემა

კვლევები აჩვენებენ რომ: [61] - მარტივი ბრტყელი კოლექტორი, კოლექტორის ფართობით 1მ^2 იყო გამოყენებული წყლის გადასატუმზად $700\text{ლ/დღე} - 1400\text{ლ} /\text{დღე}$ დიაპაზონში, შესაბამისად 6 მეტრიდან 10-მეტრამდე დაწვევის მიხედვით. ასეთ სატუმზ სისტემას შეუძლია მიაღწიოს ეფექტურობის $0,42-0,34\%$ -ს. [62] - გახურებისა და კონდენსაციის დრო იყო ოპტიმიზირებული მზის თბური სისტემების წარმადობის გასაუმჯობესებლად. იყო გადმოცემული რომ ეთილის ეთერის რაოდენობა განსაზღვრავს გახურების დროს და რომ სასურველი კონდენსაციის დრო შეიძლება მიღწეულ იქნეს გამაგრებელი კოჭის ზედაპირის ფართის ოპტიმიზირებით: [63] - შეისწავლეს მზის სითბოს გამომყენებელი წყლის ტუმზოს წარმადობა n-პენტანე-თი და ეთილის ეთერით მუშა სითხეებად. იყო გადმოცემული რომ ტუმზოს მუშაობის ეფექტურობა ეთილის ეთერით არის, თითქმის 17% -ით მაღალი, ვიდრე n-პენტანესი, განმუხტვაზე 6 მეტრიანი დაწვევისას. ეთილის ღირებულება არის დაბალი n - პანტანესთან შედარებით, რაც არის კიდევ ერთი უპირატესობა მისი გამოყენებისათვის; [64] შემუშავდა და შეფასდა მზის თბური სიმძლავრის საირიგაციო სისტემის წარმადობა აშშ-ს მეტეოლოროგიურ პირობებში. ისინი იკვლევდნენ წარმადობას მთავარი ქვესისტემებისა, როგორებიცაა კოლექტორების წყობა, სითბოს საცავი და ორგანულ მუშა სითხეზე დაფუძნებულ რანკინეს ციკლის თბოდრავები, ზაფხულის თვეებისთვის. ზაფხულის თვეების განმავლობაში კოლექტორის მასივის ეფექტურობა დაფუძნებული მზის პირდაპირ გამოსხივებაზე, ნორმალიზებულზე კოლექტორის აპერტურის სიბრტყეში იყო ნომინალურად 25% , თბური ძრავის რანკინეს ციკლის ეფექტურობა იყო 15% . გარდაქმნის ეს ეფექტურობები უამრავ სისტემურ დანაკარგებთან ერთად ზაფხულის ნათელ დღეებში იწვევს საერთო ეფექტურობას მიახლოებით 3% -ის ოდენობით. პარაზიტული დანაკარგები ამცირებენ გამოსავალ სიმძლავრეს მიახლოებით 20% -ით ნათელ დღეებში და უფრო მეტად სხვა დღეებში; [65] - შემუშავდა და გამოიცადა მზის სითბოს წყლის ტუმზოს წარმადობა R-113

მუშა სითხის გამოყენებით, დუდილის წერტილით 47,6°C 1,013 ბარზე. მათ გამოიყენეს 2მ² პარაბოლური კოლექტორი. სისტემა შემუშავებული იყო ინდოეთში და გამოცდილი გერმანიაში. მაცივარ აგენტი გადის მდგომარეობის შემდეგ ცვლილებებს ჩაკეტილ ციკლში: მზის ენერჯის გამოყენებით ორთქლდება თხევადი R-113, მზის ენერჯის გამოყენებით გადახურებული ორთქლი აწარმოებს მაღალი წნევის ორთქლს, ხდება გაფართოება მაღალი წნევის ორთქლისა მექანიკური ენერჯის გამოსავლით წყლის ტუმბოსა და კვების(მიწოდების) ტუმბოს სამუშაოდ, R-113 ორთქლი კონდენსირდება დაბალ წნევაზე გადასატუმბი სითხის გამოყენებით და ხდება წნევის მომატება თხევადი R-113-ის კვების ტუმბოში. სისტემის შიგნით წნევა შენარჩუნებული იყო ატმოსფერული წნევის ტოლად. მოქმედების განმავლობაში მაქსიმალური წნევა იყო შენარჩუნებული 3 ბარს ქვემოთ. რაც ხდის სისტემას ჩვეულებრივი მაღალი წნევის სისტემებთან შედარებით ბევრად უსაფრთხოს.

1.5.2. მეთალ- ჰიდრიდის გამომყენებელი წყალსატუმბი სისტემები.

[66] - 1970 წელს შემუშავებული იქნა მოცემული წყალსატუმბი სისტემები.


[67] - მუშაობის პრინციპი დაფუძნებულია წყალბადის თერმულ სორბციასა და დესორბციაზე, რაც იწვევს წნევის შეცვლას წყალსაქაჩი სისტემის შიგნით. ჰიდრიდული ქვესისტემა შედგება რეაქტორის საწოლისაგან, გამათბობელი და გამაგრილებელი კოჭებით და სილფონისაგან. სითბო გადაეცემა წყალბადის დესორბციისათვის საწოლიდან, რათა შეიქმნას წნევა სილფონის შიგნით მის გასაფართოებლად. დესორბციის დამთავრების შემდეგ თბომომარაგება წყდება და გადასატუმბი წყლის ნაწილი ცირკულირებს გადასატუმბად. საწოლის გაგრილება იწვევს წყალბადის შთანთქმას სილფონიდან, რაც იწვევს წნევის დაცემას და სილფონის შეკუმშვას. შთანთქმის პროცესის დამთავრების შემდეგ თომომარაგება დამთავრდება და ციკლი მეორდება.

[68] - მკვლევარები მოდელირებენ წარმადობას მზის სითბოს

გამომყენებელი წყლის სატუმბი სისტემებისას. ეს შრომები აჩვენებენ რომ შესაძლებელია 2000 ლიტრი წყლის გადაქაჩვა დღეში 1 მ² არეს მქონე კოლექტორის გამოყენებით კონსტრუქციისა და მუშაობის პირობების მიხედვით. სატუმბი სისტემის მაქსიმალური საერთო თერმული ეფექტურობა იყო მიახლოებით 1.5%.

შეზღუდვები: [69] - სითბოს გარდაქმნის ეფექტურობა არის ძალიან დაბალი; [70] - მუშა სითხეების ღირებულება, როგორებიცაა ზემოთ მოყვანილი ჰიდრიდი და n პანტანე არის მეტად მაღალი, რაც იწვევს სისტემის განუხორციელებადობას; [71] - სისტემაში გამოყენებადი ზოგიერთი სამუშაო სითხეები არიან ეკოლოგიურად არაუსაფრთხოანი; სისტემა უნდა იყოს ჰერმეტიკული, რათა აცილებულ იქნას მუშა სითხეების დანაკარგები; მზის სითბოს გამომყენებელი წყალსატუმბი სისტემები არ შეესაბამებიან დიდი ოდენობით წყლის გადაქაჩვას მაღალი დაწნევის ქვეშ.

საქართველოს ტერიტორიაზე, ჰორიზონტალურ ზედაპირზე მზის საშუალო წლიური რადიაციის განაწილების რუკა მოცემულია სურათზე 1.



სურ.1. მზის საშუალო წლიური რადიაციის განაწილება საქართველოში

მზის საშუალო წლიური რადიაციის სიდიდედ საქართველოში მიღებულია 1550 კვტ.სთ/მ²წელი, ხოლო მზის ენერჯის თეორიული პოტენციალი წელიწადში საქართველოს ტერიტორიაზე შეადგენს დაახლოებით 10¹⁴ კვტსთ–ს (100 000 მლრდ კვტსთ). აქედან გამომდინარე ჰელიოტუმბოების გამოყენების პერსპექტივები საქართველოშიც არსებობს -

მზის რადიაციის სიჭარბე და ირიგაციული, თუ სხვა ყოფითი მიზნით მათი გამოყენება ისეთ კონკრეტულ ადგილებში, სადაც ენერჯის სხვა წყაროების (ელექტროენერჯია, თბოენერჯია) დეფიციტია ან მომარაგება ძვირი ჯდება.

1.6. აორთქლება-კონდენსაციის ციკლით მზის ენერჯიაზე მომუშავე მემბრანული ტუმბოს განვითარების ეტაპები.

ეკონომიკური თვალსაზრისით წინა პლანზე გამოდის დაბალპოტენციური სითბოს რიგი წყაროებისათვის დამახასიათებელი სიაფე (ასეთია მაგალითად ყველაზე იაფ დაბალტემპერატურულ ჰელიოკოლექტორებში მიღებული სითბო ან ნარჩენი სითბო), რაც გარკვეულ წილად არბილებს მოთხოვნას ასეთი იაფი ენერჯის დაჭირხვნის მუშაობაში გარდაქნის ეფექტურობის (ე.ი. ჰელიოტუმბოს მქც-ს) მიმართ. შედეგად უფრო მნიშვნელოვანი ხდება ჰელიოტუმბოს სიაფე (ე.ი. კაპიტელდაბანდების სიმცირე), რაც თავის მხრივ მარტივი და საიმედო მოწყობილობების შექმნის აუცილებლობას უკავშირდება. დამმუშავებლები რიგი ათწლეულების მანძილზე ცდილობენ შექმნან შედარებით იაფი, ტექნიკურად მარტივი და საიმედო წყალსაქაჩი ტუმბოები, რომლებიც იმუშავენ მხოლოდ მზის ენერჯიით და მთლიანად გამორიცხავენ საწვავის ან ქსელის ელექტროენერჯის გამოყენებას. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მსოფლიოს რიგ ქვეყნებში უკვე დაგროვილი იყო აღნიშნული მიმართულებით მუშაობის დიდი გამოცდილება. მიმოხილვითი ხასიათის პუბლიკაციებში [72,73] ნათლად ჩანს, რომ დაახლოებით 1970 წლამდე ჩატარებულ კვლევებში დიდი ყურადღება ეთმობოდა აორთქლის მანქანებით მოქმედ ჰელიოტუმბოებს. შემდგომში სიტუაცია იცვლება. გაეროსა და მსოფლიო ბანკის მიერ 80-იან წლებში ჩატარებული მზის ენერჯიით მოქმედი ტუმბოების გლობალური სადემონსტრაციო და გამოსაცდელი პროექტის შესრულების შემდეგ, 1983 წელს ცალსახად იქნა მიღებული გადაწყვეტილება მზის ფოტოელექტრული ტუმბოების უპირატესობის შესახებ.

ამჟამად ფოტოელექტრული ჰელიოტუმბოები ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში. თუმცა აღსანიშნავია, რომ მათი შედარებით მაღალი კუთრი ღირებულება კვლავ რჩება მნიშვნელოვან უარყოფით ფაქტორად [74-75]. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს იმას, რომ შენარჩუნებულია ინტერესი პოტენციურად გაცილებით ურო დაბალი კუთრი ღირებულების მქონე ორთქლის მანქანიანი ჰელიოტუმბოების მიმართ, რომელთა სრულყოფის შესაძლებლობები ჯერ კიდევ არ არის ამოწურული.

ათწლეულების მანძილზე ასეთი სახის დანადგარების განვითარების ძირითადი მიმართულებები დაკავშირებული იყო სისტემის ჰელიოორთქლ გენერატორი - ორთქლის ძრავი - მექანიკური ტუმბო დამუშავებასთან და დახვეწასთან. მუშა სხეულის გაფართოებისა და წყლის დაჭირხვნის პროცესების ერთიან მანქანაში რეალიზაციის ამოცანის ზოგადი დასმისას, მაშინვე გაჩნდა ისეთი მიზანი, როგორცაა საკუთარი ამძრავის მქონე ცალკე მკვებავი ტუმბოს ამოგდება, გარდაქმნის სხვადასხვა სტადიაზე დანაკარგების შემცირება და ა.შ. ამგვარი მიდგომის რეალიზაციის გზით ერთდროულად შესაძლებელია სისტემის გაიაფება (კონსტრუქციის გამარტივებით) და მისი ენერგეტიკული ეფექტურობის გაზრდა (ენერჯის გარდაქმნის სტადიების და დამატებითი ტუმბოების შემცირებით).

ამ თვალსაზრისით, რათქმუნდა, სერიოზული ინტერესის ობიექტი ხდება აორთქლება-კონდენსაციის ციკლით მზის ენერჯიაზე მომუშავე წყლის სატუმბი სისტემა ერთ კვანძში თბური ენერჯის სითხის დაჭირხვნის მუშაობად გარდაქმნის სრული ციკლის რეალიზაციითა და შესაბამისად ხვედრითი კაპიტალურ დაბანდებათა მნიშვნელოვანი შემცირების პოტენციალით.

ამ პრობლემის სხვადასხვა კონსტრუქციულ გადაწყვეტებს შორის არის, მცირე წარმადობის პულსაციური დიაფრაგმული ტუმბო [76], რომელშიც მზის გამოსხივების თბური ენერჯის უშუალოდ წყლის გადასაქაჩ მუშაობად გარდაქმნისათვის, დაბალ ტემპერატურაზე მდუღარე მუშა აგენტის აორთქლებისა და კონდენსაციის პროცესები გამოიყენება. ასეთ ტუმბოში კონსტრუქციულად ერთ საკანშია რეალიზებული ორთქლის

მანაქანისა და ტუმბოს ფუნქციები და მზის ენერჯის პირდაპირ მექანიკურ ენერჯიად გარდაქმნა ხდება, რაც ერთის მხრივ, უზრუნველყოფს სისტემის ძლიერ გამარტივებას და, მეორეს მხრივ, იძლევა მთლიანად მოწყობილობის მასაგაბარტული და ღირებულებითი მაჩვენებლების მკვეთრი შემცირების შესაძლებლობას. ხსენებულ ტუმბოში მუდმივად ხორციელდება აორთქლება-კონდენსაციის მონაცვლეობითი პროცესები, რომლებიც განაპირობებენ ელასტიური მემბრანის პულსაციურ მოძრაობას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გადასატუმბი სითხის დაჭირხვნისა და შეწოვის პროცესებს.

ერთიან სივრცეში პულსაციური აორთქლება-კონდენსაციის ციკლის კონსტრუქციული რეალიზაციის სიმარტივის თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა თბურამძრავიანი ტუმბო [77]. ტუმბოში განხორციელებული ციკლი ექსპერიმენტულად არ იყო შესწავლილი და ამდენად არ არსებობდა მონაცემები მისი ტექნიკურად რეალიზებადობის შესახებ. მეორეს მხრივ, ციკლის წინასწარი ანალიზი უჩვენებდა, რომ ის გზას უხსნიდა განსაკუთრებით მარტივ და საიმედო სისტემების შექმნის პერსპექტივას. ამ ციკლის რეალიზაციის საშუალების გამოკვლევა და შესაბამისი საჭირო ხნი აპარატურის დამუშავება გახდა ძალზე საინტერესო და აქტუალური ამოცანა, რომლის გადაწყვეტის პირველი ეტაპი ჩატარდა სამუშაოში [78]. ამ სამუშაოს ექსპერიმენტულ ნაწილში ძირითადად დაისვა აორთქლება-კონდენსაციური მემბრანული ტუმბოს თერმოდინამიკური ციკლის ფიზიკური რეალიზების დემონსტრირების ამოცანა, ხოლო ციკლის მაქსიმალური ეფექტურობის მიღწევის ამოცანა კი შესწავლილ იქნა მხოლოდ თეორიულად. სამუშაოში [78] დასმული ამოცანების მიხედვით დამუშავდა, შეიქმნა და გამოიცადა აორთქლება-კონდენსაციური მემბრანული ტუმბოს ორი მაკეტი.

მემბრანული ტუმბოს პირველი ექსპერიმენტული მოდიფიკაციები მარგი ქმედების კოეფიციენტის (მქკ) ძალზე დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება.

ხსენებულ კონსტრუქციულ თავისებურებას ეფექტურობის თვალსაზრისით უარყოფითი შედეგიც აქვს: ორთქლის ნაწილი კამერას ისე გადაკვეთს და კონდენსირდება, რომ მუშაობას არ ასრულებს, ან მხოლოდ ნაწილობრივ მუშაობს, რაც ეფექტურობას ამცირებს. სამუშაოში [78] ჩატარებული ანალიზის თანახმად, ციკლის ეფექტურობის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კაპილარულ ხურების ზედაპირზე მუშა აგენტის სრული აორთქლების (ანუ გადასატუმბი წყლის დაჭირხვნის ტაქტის) ხანგრძლივობის წილის შემცირებას მემბრანული ტუმბოს სრულ მუშა ციკლში.

ხურების ზედაპირზე მუშა აგენტის აორთქლების პროცესის ხანგრძლივობა ორი ძირითადი ფაქტორით განისაზღვრება: კაპილარულ ზედაპირზე აორთქლების ინტენსიურობით და სიმშრალის სტადიაზე კედელში დაგროვილი სითბოს არასტაციონალური თბოგამტარობით. მაღალი თბოგამტარობის ოპტიმალური გეომეტრიის კაპილარული ზედაპირის გამოყენების შემთხვევაში აორთქლების დრო გაცილებით ნაკლები შეიძლება იყოს მემბრანული ტუმბოს სრული თერმოდინამიკური ციკლის ხანგრძლივობასთან შედარებით.

ტუმბოს შემდგომი მოდიფიკაცია [79] პირველი ორისაგან ძირითადად ხურების ზედაპირის უფრო ეფექტური კაპილარული სტრუქტურების მოძიებითა და გამოყენებით და გარკვეული ტექნოლოგიური გაუმჯობესებებით განსხვავდება.

თანამედროვე ტიპის თბური მილის შექმნამდე (გასული საუკუნის 60-იან წლებამდე) კაპილარულ ზედაპირებზე ფაზური გარდაქმნების თბოგადაცემის სფეროში მხოლოდ ერთეული სამუშაოები თუ იყო შესრულებული შემდგომმა გამოკვლევებმა კაპილარულ ზედაპირების მრავალფეროვანი ტიპები მოიცვა, დაწყებული ღარებიანი და ხრახნილიანი სტრუქტურებით და დამთავრებული ბადური და ფოროვანი ზედაპირებით [80-85]. ამასთან გადამწყვეტი ხდება თვით კაპილარული სტრუქტურის მიერ სითხის ყველაზე თხელ აფსკურ ზონებში თბური ნაკადის კონცენტრირების უნარი, რაც მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს კიდევაც

თბოგაცემის კოეფიციენტის სიდიდეს. კერძოდ, კაპილარულღარებიანი ზედაპირებისათვის (რომლებიც განსახილველი ტიპის ჰელიოტუმბოში გამოიყენება) თბოგაცემის კოეფიციენტი კედლის მასალის თბოგამტარობის კოეფიციენტიდან კვადრატული ფესვის პროპორციულია.

როგორც უკვე აღინიშნა, მთლიანობაში, თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბოს სამი მოდიფიკაცია დამზადდა და გამოიცადა. მათ შორის პირველის როლი ფაქტიურად მხოლოდ პროცესის განხორციელებადობის დემონსტრაციის ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანის შეასრულებით ამოიწურა. მეორე მოდიფიკაცია - კონსტრუქციული დახვეწის გზით ეფექტურობის ამაღლების საშუალებათა ძიებით გამოირჩეოდა. შემდგომი სამუშაოს ფარგლებში შეიქმნა ტუმბოს მესამე მოდიფიკაცია, რომლის ძირითად სიახლესაც ჩატარებული კვლევების საფუძველზე შერჩეული აორთქლების ეფექტური კაპილარული ზედაპირის გამოყენება წარმოადგენდა. კერძოდ, გამოყენებულ იქნა მაღალი თბოგამტარობის (სპილენძის) ზედაპირი სამკუთხა პროფილის კაპილარული ღარებით, რამაც მკვ-ს გარკვეული საწყისი დონის მიღწევის საშუალება შექმნა. ჰელიოტუმბოს პირველი ორი მოდიფიკაციისაგან განსხვავებით, მესამე მოდიფიკაციაში აგრეთვე გადაწყდა სპეციალური პროცედურის გარეშე ტუმბოს გაშვების პრობლემა.


ამასთან ერთად, რამდენადაც აორთქლების დრო იგივე გადასატუმბი წყლის დაჭირხვნის ტაქტის ხანგრძლივობაა, ამ დროის შემცირებას უარყოფითი შედეგიც აქვს: მცირდება სრულ ციკლში დაჭირხვნის ტაქტის წილი და საჭირო ხდება უფრო გაზრდილი ხარჯის უფრო მოკლე დროში გატარება. ეს გარემოება, თავის მხრივ, დაჭირხვნის ხაზის ფუნქციონირების პირობებს ართულებს, აუცილებელს ხდის დაჭირხვნის სარქვლისა და მთლიანად ხაზის კვეთების და გაბარიტების გაზრდას. ასე რომ, ამ მიმართებითაც, თუმცა არაპრინციპული, მაგრამ გარკვეული შეზღუდვები მაინც არის, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ოპტიმალური საინჟინრო გადაწყვეტების ძიებისას.

რამდენადაც ზოგადად თბურ ენერგიაზე მომუშავე სატუმბო სისტემებს უჭირთ ფოტოელექტრულ სისტემებთან კონკურენცია, აქტუალური ხდება ისეთი ტუმბოების დამუშავება, რომლებიც იმგვარად ჩაერთვებიან მომსახურებადი ობიექტის (მაგალითად, ბრტყელი ჰელიოკოლექტორის სითბოზე მომუშავე ცხელი წყლის მომარაგების სისტემის) ტექნოლოგიურ ციკლში, რომ სითბოს საკუთარი დამოუკიდებელი წყაროს გარეშე, ობიექტის სითბოს გამოყენებით იმუშავებენ და სითბოს ისევ ტექნოლოგიურ ციკლში დააბრუნებენ, ან ობიექტის ტექნოლოგიური ციკლის ნარჩენ სითბოზე იმუშავებენ. როგორც შესაბამისმა ანალიზმა აჩვენა [86,87,88] ასეთი ტუმბოს ყველაზე ეფექტურად გამოყენება შესაძლებელია მისი უშუალოდ ბრტყელ ჰელიოკოლექტორთან ინტეგრაციის შემთხვევაში, როცა შესაძლებელი ხდება ჰელიოკოლექტორში გაცხელებული წყლის გადაქაჩვასთან ერთად ტუმბოს ფუნქციონირებაზე დახარჯული სითბოს ძირითადი ნაწილის ციკლში დაბრუნება.

ამასთან ერთად, ხსენებული ტიპის ტუმბოს აქამდე რეალიზებული პროტოტიპების ტექნიკური და ეკონომიკური პარამეტრები და საიმედოობის დონე ჯერ კიდევ საკმარისი არ არის ეფექტური ინტეგრირებული სისტემის "ჰელიოკოლექტორი-ტუმბო" შექმნისათვის. განსაკუთრებით აქტუალურია ტუმბოს ხვედრითი წარმადობის ამაღლების პრობლემა. ამ მიმართებით სერიოზულ ინტერესს იმსახურებს ჩვენს მიერ უკვე მოხსენიებული 1990-იან წლებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილი ახალი ტიპის თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბო(თამტ) [76] რომლის ფუნქციონირება ერთ საკანში შუალედური მუშა აგენტის აორთქლებისა და კონდენსაციის პროცესების მონაცვლეობაზე არის დაფუძნებული და რომელიც პოტენციალურად დაბალი ტემპერატურის სითბოს მომხმარებელია.

თამტ კლასიკური მემბრანული ტუმბოა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასში ჩართულია მუშა საკანი ამორთქლებლით, გარედან გახურებადი (მაგალითად, ბრტყელი ჰელიოკოლექტორის

სითბოთი), ქვემოთ მიმართული კაპილარული ზედაპირის სახით, და კონდენსატორი – ბრტყელი დრეკადი მემბრანის სახით, რომელიც მეორე (ქვემო) მხრიდან ტუმბოს მიერ ცირკულირებადი წყლით ცივდება. საკანში შეყვანილია დუღილის დაბალი ტემპერატურის მქონე შუალედური მუშა აგენტის გარკვეული დოზა, რომელიც თამიმდევერულ აორთქლება-კონდენსაციას განიცდის. თამტ-ს პრინციპული სქემა მოცემულია ნახ. 10-ზე. არასამუშაო მდგომარეობაში ტუმბოში ვაკუუმია, მემბრანა მიჭერილია კაპილარულ ზედაპირზე, ხოლო მუშა აგენტის დოზა მათ შორის არის მომწყვდეული. გახურების დაწყების შემდეგ აგენტის აორთქლება მხოლოდ ზედაპირის მიერ დუღილის ტემპერატურის გარკვეული გადაჭარბების შემდგომ იწყება, ხოლო შემდგომი აორთქლება ისეა ორგანიზებული, რომ იგი საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობს, წნევა იზრდება, მემბრანა ქვევით გადაადგილდება და დამჭირხნი სარქველის გავლით წყლის მიწოდება ხორციელდება. მემბრანის გადაადგილება მანამდე გრძელდება, სანამ კაპილარულ ზედაპირზე მყოფი მუშა აგენტის თხევადი ფაზა მთლიანად არ აორთქლდება. შედეგად ეს ზედაპირი შრება, მისი გაცივება პრაქტიკულად მთლიანად წყდება და ზემოდან სითბოს მუდმივი მოწოდების პირობებში იგი გადახურებას იწყებს (ანუ თხევადი ფაზის ხელახლა დაბრუნებისთვის ემზადება).



ნახ. 10. თამბ-ს პრინციპული სქემა: 1 – მუშა საკანი; 2 – დრეკადი მემბრანა; 3-ზედა კამერა; 4 – ქვედა კამერა; 5 – სახურავი; 6 – გამხურებელი; 7 – შემწოვი სარქველი; 8 – დამჭირხნი სარქველი.

ამასობაში, აორთქლების შეწყვეტის შედეგად, ქვემოდან წყლით გაცივებადი მემბრანის ზედა მხარეზე ორთქლის უწყვეტი კონდენსაციის გამო საკანში წნევა ეცემა და შემწოვი სარქველით წყლის შეწოვა ხდება. ეს პროცესი მანამდე გრძელდება სანამ მემბრანა ზედ დაგროვილი თხევადი მუშა აგენტით გადახურებულ კაპილარულ ზედაპირს ხელახლა არ მიეკრობა და ყველაფერი (ანუ შემდგომი მუშა ციკლი) ხელახლა არ დაიწყება.

მეორეს მხრივ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ მუშა საკანში მარტივად განხორციელებულ ამ პროცესს ერთი მნიშვნელოვანი მინუსიც გააჩნია, რაც კონდენსაციის უწყვეტობაში გამოიხატება. მუშა სითხის აორთქლების პროცესის პარალელურად მიმდინარეობს ელასტიურ მემბრანასთან შეხებაში მყოფი ორთქლის ნაწილობრივი კონდენსაცია, რაც ამცირებს წნევას და შედეგად ტუმბოს ეფექტურობას. ე.ი. კონდენსაცია მაშინაც მიდის, როცა ის საჭირო არ არის (აორთქლების ანუ წყლის დაჭირხვნის სტადიაზეც), რის შედეგადაც ორთქლის ნაწილი მუშაობის შესრულების გარეშე კონდენსირდება. განხორციელებულ კონსტრუქციებში პარაზიტული კონდენსაციის პრობლემა აორთქლების სტადიის მაქსიმალური დაჩქარებით, ანუ მთლიან ციკლში პარაზიტული კონდენსაციის დროის მონაკვეთის წილის შემცირებით ხორციელდება.

სწორედ ამ მიზნით იყო გამოყენებული სპეციალური მიზნებისათვის ადრე დამუშავებული აორთქლების კაპილარული ზედაპირები, რომლებიც განსაკუთრებით მაღალი თბოგაცემის კოეფიციენტებით ხასიათდება.


მიუხედავად ამისა, პარაზიტული კონდენსაციის პრობლემა დღის წესრიგში კვლავაც რჩება, რადგანაც მისი უარყოფითი შედეგების მინიმუმაციის ხსენებული მეთოდი მთლიანობაში კონდენსაციის

დაჩქარების შესაძლებლობას და, შესაბამისად, ტუმბოს ხვედრითი წარმადობის ამაღლებას ზღუდავს.

დამუშავებულია თამტ-ს რეალური თერმოდინამიკური ციკლი, რომელიც ნახ. 11-ზე არის წარმოდგენილი.

იმ გარემოების უგულველყოფით, რომ კაპილარული ზედაპირის ახლოობაში წყლის შეწოვის (ანუ ზედაპირის სიმშრალის და გადახურების) სტადიაზე ორთქლის ნაწილი გადახურდება, ციკლი როგორც სითბოს მიწოდების პირობებში იზოქორული კუმშვის, კვლავაც სითბოს მიწოდების პირობებში იზობარულ-იზოთერმული გაფართოების, სითბოს გაცემის პირობებში იზოქორული გაფართოების და ისევ სითბოს გაცემის პირობებში იზობარულ-იზოთერმული კუმშვის სტადიების ჯამად განიხილება.


გარდა ამისა ითვლება, რომ სითბოს მიწოდების პირობებში იზოქორული კუმშვის სტადიაზე მუშა აგენტი მთლიანად თხევადი ფაზის სახით, ანუ ნულოვანი ორთქლშემცველობით ხასიათდება. რამდენადაც ამ სტადიაზე სითხეში ორთქლის ბუშტების არსებობა სრულიად შესაძლებელია, ამ დაშვების გავლენის ანალიზი რეალური ციკლის პარამეტრებზე არცთუ უმნიშვნელო ამოცანას წარმოადგენს, რაც შემდგომი კვლევების საგანი უნდა გახდეს.



ნახ.11.თამტ-ს რეალური თერმოდინამიკური ციკლი (T-ტემპერატურა; S-ენტროპია; P-წნევა)[89]

ხსენებული პარაზიტული კონდენსაციის გამო ციკლი მთლიანად ტენიანი ორთქლის ფაზაში ხორციელდება.

ბრტყელ ჰელიოკოლექტორში თამტ-ს ინტეგრაციის პრინციპული სქემა მოცემულია ნახ. 12-ზე. ჰელიოკოლექტორის ქვედა, დაახლოებით მეთედი ნაწილი გამორთულია საერთო თბური სქემიდან და გამოყენებულია თამტ-ს თბომომარაგებისათვის. თამტ უზრუნველყოფს წყლის მიწოდებას ჰელიოკოლექტორში (მაგალითად, ჭიდან) და მასში გაცხელებული წყლის მომხმარებლისათვის გადაცემას, მაგალითად სიმაღლეზე განლაგებულ ჰელიოკოლექტორში მიწოდებამდე წყალი აკონდენსირებს თამტ-ს მუშა აგენტს, წყლი თბება და შემთბარი შედის ჰელიოკოლექტორში, რის შედეგადაც ჰელიოკოლექტორიდან ართმეული სითბო თითქმის მთლიანად ბრუნდება თბურ ციკლში (მას აკლდება, თამტ-ში მუშაობად გარდაქმნილი მაქსიმუმ 2-3 % და თბოიზოლაციაში დანაკერგები, რაც საბოლოო ანგარიშში ჰელიოკოლექტორის მთლიანი თბური სიმძლავრის 1 %-ს ვერ გადააჭარბებს). სწორედ ეს გარემოება უზრუნველყოფს ამ კონკრეტულ გამოყენებაში თამტ-ს მნიშვნელოვან ეკონომიკურ უპირატესობას ფოტოელექტრული სისტემის მიმართ, რომელსაც ელექტროტუმბოსთან ერთად ძვირადღირებული ფოტოელექტრული წყაროთი დაკომპლექტებაც სჭირდება.



ნახ. 12. ბრტყელ ჰელიოკოლექტორში თამტ-ს ინტეგრაციის პრინციპული სქემა

მიმოხილული კვლევებისა და დამუშავებების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თამტ პერსპექტიულ მოწყობილებას წარმოადგენს

ჰელიოკოლექტორზე დაფუნდებული ცხელი წყლის მომარაგების სისტემაში გამოყენებისათვის. ამასთან ერთად მისი კონსტრუქცია და მასში მიმდინარე პროცესები გაუმჯობესებას და დახვეწას საჭიროებს, რაც შემდგომი კვლევა-დამუშავების საგანს წარმოადგენს.

1.7. მიმოხილვის შედეგების შეჯამება და სადისერტაციო სამუშაოს ძირითადი ამოცანების განსაზღვრა

განახლებადი ენერჯის წყაროების წყლის სატუმბი სისტემების კვლევები აჩვენებენ, რომ ასეთ სისტემებს ენერჯის ტრადიციული წყაროების ჩანაცვლების მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნიათ. განახლებადი ენერჯის წყაროების ეფექტური ათვისება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტრადიციული ენერჯის სახეობებზე მოთხოვნილებისა და გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებაში.

მორწყვისა და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის უპირატესად გამოიყენება მზის ფოტოელექტრული წყალსატუმბი სისტემები და ამის შემდეგ ქარის ენერჯის წყალსატუმბი სისტემები. მზის სითბოს და ბიომასის სატუმბი სისტემები ნაკლებ პოპულარული არიან ენერჯის გარდაქმნის დაბალი ეფექტურობის გამო. მიუხედავად სერიოზული მიღწევებისა, ფოტოელექტრული ტუმბოების უარყოფით მხარედ კვლავ რჩება ფოტოელემენტების მაღალი კუთრი ღირებულება, თუმცა მუდმივი სრულყოფა და გაიაფება მათ გამოკვეთილი ლიდერის პოზიციას ანიჭებს.

რამდენადაც ზოგადად თბურ ენერჯიაზე მომუშავე სატუმბ სისტემებს უჭირთ ფოტოელექტრულ სისტემებთან კონკურენცია, აქტუალური ხდება ისეთი ტუმბოების დამუშავება, რომლებიც იმგვარად ჩაერთვებიან მომსახურებადი ობიექტის (მაგალითად, ბრტყელი ჰელიოკოლექტორის სითბოზე მომუშავე ცხელი წყლის მომარაგების სისტემის) ტექნოლოგიურ ციკლში, რომ სითბოს საკუთარი დამოუკიდებელი წყაროს გარეშე, ობიექტის სითბოს გამოყენებით იმუშავენ და სითბოს ისევ ტექნოლოგიურ ციკლში დააბრუნებენ, ან ობიექტის ტექნოლოგიური ციკლის ნარჩენ სითბოზე იმუშავენ.

აღნიშნული მომენტები ხელს უწყობს პოტენციურად იაფი ჰელიოთერმოდინამიკური სისტემების მიმართ ინტერესის შენარჩუნებას, რომელთა სრულყოფის შესაძლებლობები ჯერ კიდევ არ არის ამოწურული.

მიმოხილული კვლევებისა და დამუშავებების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თამტ პერსპექტიულ მოწყობილებას წარმოადგენს ჰელიოკოლექტორზე დაფუძნებული ცხელი წყლის მომარაგების სისტემაში გამოყენებისათვის. ამასთან ერთად მისი კონსტრუქცია და მასში მიმდინარე პროცესები გაუმჯობესებას და დახვეწას საჭიროებს, რაც შემდგომი კვლევა-დამუშავების საგანს წარმოადგენს.

ანალიზის საფუძველზე შემდეგნაირად ჩამოყალიბდა **სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ამოცანები:**

- თამტ-ს ახალი მოდიფიკაციის ექსპერმენტალური მოდელის შექმნა, მასში მიმდინარე პროცესების, მათ შორის კონდენსაციის ორსიჩქარიანი რეჟიმის განხორციელების შესაძლებლობის, ექსპერიმენტული შესწავლისა და კონსტრუქციის დახვეწის მიზნით;
- თამტ-ს რეალური თერმოდინამიკური ციკლის ანალიზი და დაზუსტება, იზოქორული კუმშვის სტადიაზე მუშა აგენტის ნულოვანისაგან განსხვავებული ორთქლშემცველობის გათვალისწინებით
- თამტ-ს დაზუსტებული რეალური თერმოდინამიკური ციკლის კომპიუტერული მოდელირება;
- ექსპერმენტალური მოდელის ფუნქციონირების გამოკვლევა ჩაკეტილ პულსაციურ რეჟიმში;
- ექსპერმენტალური მოდელის ფუნქციონირების გამოკვლევა წყლის გადატუმბვის რეჟიმში;
- სამუშაოს შედეგების ანალიზი და საბოლოო დასკვნების გამოტანა.


თავი 2. მზის ენერგიაზე მომუშავე თბურამპრავიანი მემბრანული ტუმბოს ახალი მოდიფიკაცია და მისი თერმო-ჰიდროდინამიკური მოდელი.

მოცემულ თავში მოყვანილია მზის ენერგიაზე აორთქლება – კონდენსაციის ციკლით მომუშავე წყლის სატუმბი სისტემის, თბურამპრავიანი მემბრანული ტუმბოს ახალი მოდიფიკაცია და მისი თერმო-ჰიდროდინამიკური მოდელი, დამუშავების არსებული გამოცდილების შესწავლა და მისი სუსტი მხარეების გამოვლენა, რაც საფუძვლად დაედო ახალი მოდიფიკაციის ტუმბოს შექმნისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას.

2.1. თბურამპრავიანი მემბრანული ტუმბოს ახალი მოდიფიკაცია ტიხრით

დაგროვილი ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზის თანახმად მუშა სითხის აორთქლების პროცესის პარალელურად მიმდინარეობს ელასტიურ მემბრანასთან შეხებაში მყოფი ორთქლის ნაწილობრივი კონდენსაცია, რაც ამცირებს წნევას და შედეგად ტუმბოს ეფექტურობას. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ აორთქლების პროცესი რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს და ამ დროს კონდენსაცია რაც შეიძლება დაბალი ინტენსივობით უნდა ხდებოდეს. აორთქლების დამთავრებისა და ამორთქლებელი ზედაპირის სრული გაშრობის შემდეგ კი პირიქით, კონდენსაცია რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიმდინარეობდეს რაც გაზრდის დროის ერთეულში შესრულებული ციკლების რაოდენობას და მაშასადამე ტუმბოს ეფექტურობას. აღნიშნული უარყოფითი მოვლენის გასანეიტრალებლად და ტუმბოს ხვედრითი წარმადობისა და მქკ-ს ამაღლების მიზნით, თბოგადაცემის კოეფიციენტის ამაღლებისათვის აორთქლების დამთავრებისა და ამორთქლებელი ზედაპირის სრული გაშრობის შემდგომი კონდენსაციისას, სამუშაოს პირველ ეტაპზე მუშა სხეულის კონდენსაციის ორსიჩქარიანი რეჟიმის უზრუნველსაყოფად

დაპროექტდა თბურამპრავიანი მემბრანული ტუმბოს ტიხრიანი მოდიფიკაცია [90].



ნახ. 13. თამტ-ს ტიხრიანი მოდიფიკაციის პრინციპული სქემა: 1 – მუშა საკანი; 2 – დრეკადი მემბრანა; 3 - ზედა კამერა; 4 – ქვედა კამერა; 5 – სახურავი; 6 – გამხურებელი; 7 – შემწოვი სარქველი; 8 – დამჭირხნი სარქველი; 9 – ტიხარი; 10 – ნახვრეტები.

თამტ-ს ტიხრიანი მოდიფიკაციის პრინციპული სქემა მოყვანილია ნახაზზე 13. წარმოდგენილი მოდიფიკაცია პირველისაგან განსხვავდება ქვედა კამერაში ნახვრეტებიანი ტიხრის ჩადგმით (შეწოვილი წყლის უშუალოდ ტიხარში შეყვანით) და დამჭირხნი სარქველის ჩართვის შეცვლილი სქემით. შედეგად, შეწოვილი ცივი წყალი მემბრანისაკენ ჭავლების სახით გაიტყორცნება, რაც კონდენსაციის პროცესს ამ სტადიაზე გაცილებით უფრო ინტენსიურს ხდის, ვიდრე დაჭირხვნის სტადიაზეა. შედეგად უნდა ამაღლდეს თამტ-ს ხვედრითი წარმადობა.


ტუმბო შეიცავს კორპუსს 1, ელასტიურ მემბრანას, 2 და ზედა 3 და ქვედა 4 ნაკვეთურებს. ზედა ნაკვეთურში 3 მოთავსებულია შუალედური აგენტის გარკვეული რაოდენობა. ზედა ნაკვეთურის 3 ხუფზე 5 მიერთებულია გამათბობელი 6, რომელიც წარმოადგენს ბრტყელ ჰელიო - კოლექტორთან მიერთებულ თბოგადამცემს. გადასატუმბი წყლით სავსე ქვედა ნაკვეთურზე 4 მიერთებულია სითხის შემწოვი 7 და დამჭირხნი 8 სარქველები. ქვედა ნაკვეთურში 4 განთავსებულია ტიხარი 9, რომელიც აღჭურვილია გამჭოლი ნახვრეტებით 10.

ტიხრიანი მოდიფიკაციის თამტ შემდეგნაირად ფუნქციონირებს: ტუმბოს გამათბობელს 6 მზის ბრტყელი ჰელიოკოლექტორიდან მიწოდება დაბალი ტემპერატურული პოტენციალის ($70 \leq 80$ °C) სითბო, შედეგად შუალედური აგენტის სითხის ფაზით დასველებულ ხუფის 5 ქვედა ზედაპირზე იწყება ამ აგენტის აორთქლება, რაც იწვევს წნევის აწევას და მემბრანის გაბერვას, ანუ ქვევით გადაადგილებას. შედეგად მცირდება ნაკვეთური 4-ის მოცულობა და მასში მოთავსებული წყალი დამჭირხნი სარქველის 7 გავლით გაიდევნება ტუმბოდან. მემბრანის 2 ქვევით მოძრაობის პროცესი მანამდე გრძელდება, სანამ ხუფის 5 ქვედა ზედაპირი მთლიანად არ გაშრება, რის შემდეგაც ხუფის 5 გაცივება პრაქტიკულად მთლიანად წყდება და მზის ენერგიით მოქმედი გამათბობლის 6 გავლენით იწყება მისი გადახურება. პარალელურად, მემბრანის 2 ქვედა ზედაპირთან შეხებაში მყოფი პრაქტიკულად ცივი გადასატუმბი წყლის ტემპერატურის გავლენით, მემბრანის 2 ზედა


ზედაპირზე მიმდინარეობს შუალედური აგენტის ორთქლის კონდენსაციის პროცესი, რომელიც აორთქლების შეწყვეტის შემდეგ იწვევს წნევის დაცემას ნაკვეთურში 3. შედეგად მემბრანა 2 ზევით გადადგილდება და შემწოვი სარქვლის 8 და პერფორირებული ტიხარის 9 გავლით გადასატუმბი წყლის ახალი ულუფის შეწოვას უზრუნველყოფს. შესაბამისად, შუალედური აგენტის კონდენსაციის სტადიაზე სარქვლის 7 გავლით შეწოვილი შედარებით ცივი გადასატუმბი წყალი ხვდება კორპუსს 1 და ტიხარს 9 შორის და გამჭოლი ნახვრეტებით 10 ცივი ჭავლების სახით გაიტყორცნება დიაფრაგმისაკენ 2. სითხის ჭავლები უშუალოდ ეჯახებიან მემბრანას 2 და ქვედა ნაკვეთურის 4 ზედა ნაწილში სითხის ინტენსიურ შერევასაც იწვევენ. შედეგად მკვეთრად უმჯობესდება მემბრანის 2 გაცივება და მცირდება კონდენსაციის დრო. მემბრანის 2 გაცივების მრავალჭავლური რეჟიმის განხორციელება, ამაღლებს თბოგადაცემის კოეფიციენტს ორთქლის კონდენსაციის ეტაპზე. შედეგად შემცირდება მუშა ციკლის ხანგრძლივობა, იზრდება დროის ერთეულში შესრულებული ციკლების რიცხვი და ამდენჯერვე ამაღლდება ტუმბოს წარმადობა. ამგვარად, აორთქლება–კონდენსაციური მემბრანული ტუმბო იყენებს მემბრანას არა მარტო სითხის შეწოვისა და დაჭირხვნისათვის (რაც მემბრანის ჩვეულებრივი ფუნქციაა ნებისმიერი ტიპის მემბრანულ ტუმბოში), არამედ მუშა სხეულის ორთქლის კონდენსაციის ზედაპირად (რისთვისაც ჩვეულებრივად ცალკე კონდენსატორი გამოიყენება) და მიღებული თხევადი ფაზის აორთქლების ზედაპირზე დაბრუნების ინსტრუმენტად (ამ უკანასკნელისათვის სქემაში ჩვეულებრივად მკვებავ ტუმბოს ითვალისწინებენ). სწორედ ჩამოთვლილი გარემოებები განაპირობებენ განხილული ტიპის ტუმბოს განსაკუთრებულ სიმარტივეს და, შესაბამისად, პოტენციურ სიაფეს, რაც გარკვეულ პირობებში მას კონკურენტუნარიანს ხდის უფრო მაღალი მქკ-ს მქონე, მაგრამ გაცილებით უფრო რთული სატუმბი სისტემების მიმართ.

ზემოთ განხილული აორთქლება-კონდენსაციური ტიპის ტიხრიანი თამტ-ს ჩვენს მიერ შემუშავებული ექსპერიმენტული მოდელის კონსტრუქციული სქემის შესაბამისი ექსპერიმენტული მაკეტის სქემა წარმოდგენილია ნახ.14-ზე. მაკეტში სითბოს წყაროდ გვევლინება ხუფში 6 განთავსებული ელექტროგამხურებელი 16. თბომიმტანის გეომეტრია გარემოში სითბოს დანაკარგების მინიმიზაციის პირობას შეესაბამება. დამაგრების სისტემა 17 სარქვლებით 7 და 8 ისეა შესრულებული რომ საშუალებას იძლევა ადვილად გამოიცვალოს მემბრანა 4. მემბრანული ჰელიოტუმბოს შემოთავაზებულ კონსტრუქციაში მუშა სხეულის აორთქლების პროცესი ბადე 18 გადაჭიმულ ხურების ზედაპირზეა რეალიზებული. არხების 10 მეშვეობით წარმოებს ამორთქლებელ - საკონდენსაციო ნაკვეთურის ვაკუუმირება და მუშა სხეულით გამართვა. უშუალოდ აორთქლების ზედაპირის სიახლოვეში, ხუფი 6 განივ კვეთში შეიცავს ხურების ზედაპირის ტემპერატურის გასაზომი თერმოწყვილის ჩასამაგრებელ ადგილს 13. თბოიზოლაციაში 9 გათვალისწინებულია ხურების ზედაპირის ტემპერატურის გასაზომი თერმოწყვილის შესაყვანი არხი 11. ამას გარდა გათვალისწინებულია პარალელური ნახვრატები 12,19,20 თერმოწყვილების შესაყვანად. საცდელი ტუმბოს კორპუსი 1 წარმოადგენს გამჭვირვალე მინას. 2 წარმოადგენს გადასატუმბი სითხის არეს; 3 - ორფაზა მუშა სხეულის არეს; 21 - ელ. დენის სადენების არხი; 5-პერფორირებული ტიხარი; 14,15 - წნევის საზომი არხები.

ნახ.15-ზე წარმოდგენილია მემბრანული ტუმბოს მახასიათებლების დასადგენად ექსპერიმენტული სტენდის პრინციპული სქემა. აორთქლება-კონდენსაციური მემბრანული ტუმბოს მუშაობის გამოსაკვლევად ექსპერიმენტული სტენდი, გარდა ტუმბოს მაკეტისა 1, შეიცავს ტემპერატურისა და წნევის მართვისა და გაზომვის ხელსაწყოს 7, ტუმბოს გამახურებელს ელექტროკვების სისტემით 4, წნევის გამზომით 5, ტემპერატურის გამზომით 6.სტენდის ჰიდრავლიკურ სქემაში მაკეტის 1 და ტემპერატურისა და წნევის მართვისა და გაზომვის ხელსაწყოს 7 გარდა



ნახ.14. თბურამპრავიანი ტიხრიანი მემბრანული ტუმბოს საცდელი მოდელის
 ექსპერიმენტული მაკეტი



ნახ. 15. თბურამძრავიანი ტიხრიანი მემბრანული ტუმბოს საცდელი მოდელის ექსპერიმენტული სტენდი

შედის ორი, სხვადასხვა დონეზე განთავსებული ზედა და ქვედა საწყაო ჭურჭლები 2 და 3. ახალი მოდიფიკაციის ერთ-ერთი ძირითადი სიახლეა კონდენსაციის ორსიჩქარიანი რეჟიმის გამოყენება. რაც გულისხმობს თბოცვლის ორი მკვეთრად განსხვავებული რეჟიმის რეალიზაციას ტუმბოს მუშაობის ციკლში: ნელი კონდენსაცია დაჭირხვნის სტადიაზე და სწრაფი კონდენსაცია შეწოვის სტადიაზე. თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბოს ექსპერიმენტულ მაკეტზე მუშა სხეულის კონდენსაციის ასეთი რეჟიმის ჭავლური გაფრქვევით რეალიზაციის ვარიანტის ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ასეთ ვარიანტში მუშა სხეულის კონდენსაციის საჭირო ინტენსიურობის უზრუნველყოფა ჭავლების შექმნაზე დაწნევის შესამჩნევი წილის დაკარგვასთან არის დაკავშირებული. ჩატარებულმა წინასწარმა სამუშაოებმა გვიჩვენა რომ, წნევის დანაკარგები ჭავლების შექმნაზე შედარებით დაბალი დაწნევების (0.5 – 2.0 ბარი) შესადარისი აღმოჩნდება, რაც სამუშაოში დასმული საბოლოო ამოცანების შემთხვევაში მისაღები არ არის. ამასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კონდენსაციის დაჩქარების მიზნით თხევადი დგუმის ხურების ზედაპირთან უშუალო კონტაქტში მოყვანისა და მემბრანის, დგუმის ქვემოთ გადანაცვლების შესახებ. რაც შეეხება თვით ტიხრიან მოდიფიკაციას, გადაწყდა მის შემდგომ დამუშავებას დავუბრუნდეთ მაღალ დაწნევებთან (5 - 10 ბარი) დაკავშირებული ამოცანების წამოჭრისას.

ასეთი გადაწყვეტილების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი პირელ შემთხვევაში მემბრანის მძიმე პირობებში მუშაობის და მისი მასალის შერჩევის სიძნელემ შეადგინა. მემბრანის ქვემოთ გადანაცვლების შემთხვევაში დიდად მარტივდება მისი შემჭიდროება და მკვეთრად უმჯობესდება ფუნქციონირების ტემპერატურული პირობები. შედეგად წამოიჭრა ტუმბოს კონსტრუქციული მოდიფიცირების ამოცანა.

2.2. თბურამპრავიანი მემბრანული ტუმბოს თხევადდგუშიანი

მოდულიკაცია

ენერგიის განახლებადი წყაროების, (მაგალითად, ბრტყელი ჰელიოკოლექტორის სითბოს ან დაბალი ტემპერატურული პოტენციალის სხვა ტიპის იაფი ან ნარჩენი სითბოს ბაზაზე), წყლის სატუმბი მოწყობილობის შექმნის პოტენციურად ეფექტური გადაწყვეტის კონტექსტში, ბოლო ათწლეულებში დამმუშავებელთა ყურადღება თხევად დგუშიანმა თბურამპრავიანმა მემბრანულმა ტუმბომ მიიპყრო [75,76,91,92].

რამდენადაც ახალ მოდიფიკაციაში ტუმბოს მთავარ კვანძს (ამპრავს) სპეციფიური ტიპის თბური ძრავა (თხევად დგუშიანი ორთქლის მანქანა) წარმოადგენს, ამ კვანძის დახვეწა და ფუნქციონირების კანონზომიერებების თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს თამტ-ს ეფექტური კონსტრუქციის შექმნის გზაზე [86,87,88].

ახალ მოდიფიკაციაში მუშა სხეულის ორთქლის ფაზის კონდენსაციის ორსიჩქარიანი რეჟიმის ჭავლური გაფრქვევით რეალიზაცია ხორციელდება თხევადი დგუშის ზედაპირზე, სადაც ცივი სითხე უშუალოდ მიეწოდება. მემბრანამ გადაინაცვლა ტუმბოს ქვედა დონეზე, გადასატუმბი სითხის შეწოვისა და დაჭირხვნის უცვლელი ფუნქციით. ექსპერიმენტულ მაკეტზე ჩატარდა კონდენსაციის ორსიჩქარიანი რეჟიმის ჭავლური გაფრქვევით რეალიზაციის ახალი ვარიანტის ექსპერიმენტული გამოკვლევა. გაზომილ იქნა აორთქლება-კონდენსაციის ციკლის პარამეტრები: ციკლის დამახასიათებელი დროები, თხევადი დგუშის გადაადგილების ზღვრები, ამორთქლებელი ზედაპირის ტემპერატურული პულსაციები. როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, ჩატარებულმა კონსტრუქციულმა მოდიფიკაციამ კონდენსაციის ინტენსიურობის საჭირო დონის მიღწევის საშუალება მოგვცა.


თამტ-ს თხევადდგუშიანი მოდიფიკაციის პრინციპული სქემა მოყვანილია ნახაზზე 16. გახურების შედეგად ტემპერატურის გარკვეული

დონის მიღწევისას ზედაპირზე 2 იწყება აორთქლების პროცესი, რაც წყვეტს ამ ზედაპირს შუალედური მუშა აგენტის თხევად დგუმს და გადაადგილებს მას ზემოდან ქვემოთ. სითხე სარქველის 7 გავლით ჩადის სატუმბ საკანში 3, ჩაზნექს მემბრანას 4 და სარქველის 8 გავლით დაჭირხნის წყალს ჰელიოკოლექტორის სისტემაში. მას შემდეგ, რაც კაპილარული ზედაპირით 2 შენარჩუნებული სითხე მთლიანად აორთქლდება, ხოლო თხევადი დგუმის ზედაპირზე ორთქლის კონდენსაცია გაგრძელდება, საკანში 1 ორთქლის წნევა დაეცემა, მოხდება სითხის შეწოვა ქვემოდან ზემოთ სარქველის 5 გავლით. მემბრანა 4 ამოიზნიქება, სარქველის 6 გავლით შეიწოვს წყლის ახალ ულუფას, თბომცვლელში 9 გაცივებული აღმავალი თხევადი დგუმი შეეჯახება სიმშრალის პერიოდში გადახურებულ ზედაპირს 2 და აღწერილი ციკლი კვლავ გამეორდება (წყლის გადატუმბვის შესაბამისი ეფექტით) და, ასე შემდეგ, სანამ ტუმბოს სითბო მიეწოდება.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ უკუსვლისას გაცივებული მუშა აგენტის თხევადი ფაზის მიწოდება სარქველით 5 პირდაპირ თხევადი დგუმის ზედა ნაწილში, წინა სვლასთან შედარებით, მკვეთრად აჩქარებს კონდენსაციას წყლის შეწოვის სტადიაზე და ამალეებს ტუმბოს წარმადობას და ეფექტურობას. რაშიც გამოიხატება სწორედ ორთქლის კონდენსაციის ორსიჩქარიანი რეჟიმის მნიშვნელობა.

როგორც ნახაზიდან ჩანს კონდენსაციის დაჩქარება და მემბრანის ფუნქციონირების პრობემის გაუმჯობესება მთლიანობაში თამტ-ს კონსტრუქციის გართულების ხარჯზე იქნა მიღწეული: გაჩნდა განცალკევებული ორი კამერა და ორის მაგივრად ოთხი სარქველი. მიუხედავად ამისა, ასეთი კომპრომისი გაამართლებული იქნება, თუ დასახულ გაუმჯობესებათა ეფექტური რეალიზაცია იქნება მიღწეული.

ნახ.17-ზე წარმოდგენილია ბრტყელ ჰელიოკოლექტორზე დაფუძნებულ ცხელი წყლის მომარაგების სისტემაში თამტ-ს თხევადდგუმიანი მოდიფიკაციის ინტეგრირების პრინციპული სქემა.




ნახ. 16. თამბ-ს თხევადდგუშიანი მოდიფიკაციის პრინციპული სქემა: 1 - ზედა კამერა; 2 - ხურების კაპილარული ზედაპირი; 3 - ქვედა კამერა; 4 - დრეკადი მემბრანა; 5, 6 - შემწოვი სარქველები; 7, 8 - დამჭირხნი სარქველები; 9 - თბომცვლელი; 10 - 11 - მიმღები და მიმწოდებელი მილტუჩები.

როგორც სქემიდან ჩანს, თამტ-სა და ჰელიოკოლექტორის შეთანწყობის ძირითადი უპირატესობა ამ შემთხვევაშიც არის შენარჩუნებული: ჭიდან ამოტუმბული წყალი ჰელიოკოლექტორში თამტ-ში შეთბობის შემდეგ ხვდება და თითქმის მთლიანად აბრუნებს კოლექტორში თამტ-ს მუშაობისათვის ართმეულ სითბოს.

თამტ-ს გამოყენების პირველ ობიექტად შერჩეულია ერთეულ ბრტყელ ჰელიოკოლექტორზე დაფუძნებული ცხელი წყლის მომარაგების ავტონომიური სისტემა. ასეთ არჩევანს ორი გარემოება განაპირობებს: პირველი მათგანია წყლის საჭირო ხარჯის სიმცირე (დაახლოებით 20 ლიტრი საათში), რაც ამსუბუქებს ასეთი პროექტის რეალიზაციის ტექნიკურ, ფინანსურ და მატერიალურ ასპექტებს; მსგავსი სიმბიოზის პირობებში მეორე და უმნიშვნელოვანესი მომენტია თამტ-ს ჰელიოკოლექტორის სითბოს ხარჯზე მუშაობა, ართმეული სითბოს თითქმის მთლიანად ცხელი წყლის სისტემაში დაბრუნებით. შედეგად თბური ენერჯის საკუთრივ ტუმბოს მუშაობისათვის დანახარჯების ფაქტიურად მთლიანი გამორიცხვა, რამდენჯერმე აიაფებს წყლის გადატუმბვის ხარჯებს. ერთდროულად კრიტიკულ მნიშვნელობას კარგავს ტუმბოს მქვ-ს დონე.

მოცემულ კონკრეტულ გამოყენებაში, თუ თამტ-ს გამოყენებით იგი სათანადოდ იქნება რეალიზებული, ფოტოელექტრული სატუმბო სისტემა კონკურენტუნარიანი ვეღარ იქნება, რადგან ელექტროტუმბოს ფუნქციონირებისათვის მისი, ელექტროენერჯის ძვირადღირებული წყაროთი დაკომპლექტება არის საჭირო.

თამტ-ს შემდგომი გამოყენება შეიძლება გახდეს სტაციონარული დიზელის დანადგარის გაცივების სიტემის ტუმბოს ჩანაცვლება, ცირკულაციის გამონაბოლქვი აირების სითბოს ხარჯზე განხორციელებით (ისევ მომსახურების ობიექტთან სიმბიოზით და ამ ობიექტის უფასო ნარჩენი სითბოს გამოყენებით). ამისათვის საჭირო იქნება მაღალი წარმადობის ტუმბოს შექმნა.



ნახ. 17. თამბ-ს თხევადდგუმიანი მოდიფიკაციის ინტეგრირება ბრტყელ ჰელიოკოლექტორზე დაფუნებული ცხელი წყლის მომარაგების სისტემაში

შედეგად დიზელის დანადგარის მიერ გამომუშავებული ძვირფასი მექანიკური ენერგიის ნაწილი საკუთარი გაცივების სისტემის ტუმბოს ენერგომომარაგებაზე აღარ დაიხარჯება და მისი ტექნიკური და ეკონომიკური ეფექტიანობა საგრძნობლად გაუმჯობესდება.

ვფიქრობთ, მხოლოდ ამის შემდეგ, თანაც, თუ დამუშავებათა პროცესში ტუმბოს მქკ-ს სერიოზული ამაღლება იქნება მიღწეული, შეიძლება დღის წესრიგში დადგეს ფოტოელექტრულ სატუმბ სისტემებთან უფრო ფართო სპექტრში კონკურენციის ამოცანა.

ამასთან, იმ მნიშვნელოვან გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ თამტ-ს დამუშავების მიზანშეწონილობისათვის ჩამოთვლილი პოტენციალური ამოცანებიდან მხოლოდ პირველის ეფექტური რეალიზაცია არის საკმარისი.

2.3. თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბოს რეალური თერმოდინამიკური ციკლის ანალიზისა და კომპიუტერული მოდელირების შედეგები

აორთქლება–კონდენსაციის ციკლით მომუშავე თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბოს კონსტრუქციული დახვეწის გზაზე შესასრულებელი მთავარი ამოცანა უპირველესად მასში მიმდინარე თერმო-ჰიდროდინამიკური პროცესების გამოკვლევაა. ტუმბოში მიმდინარე თერმო-ჰიდროდინამიკური პროცესების სწორი ხედვა უკვე შემდეგ საფუძვლად უნდა დაედოს ახალ გადაწყვეტილებებს ეფექტურობისა და საიმედოობის ამაღლების კონსტრუქციული უზრუნველყოფისათვის.

ქვემოთ წარმოდგენილია თამტ-ს დაზუსტებული თერმოდინამიკური ციკლის ანალიზი, მარგი ქმედების კოეფიციენტის (მქკ) საანგარიშო განატოლება და კომპიუტერული მოდელირების შედეგები.

თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბოს პულსაციურ განაკვეთში რეალიზებული ციკლის თავისებურებანი დაკავშირებულია ერთ

მოცულობაში [93] ციკლის შემადგენელი ყველა პროცესის განხორციელებასთან. თამტ-ს ციკლის მეორე მნიშვნელოვანი თავისებურება - მისი ენერგეტიკული ეფექტურობის აპრიორული დამაქვეითებელი, დაკავშირებულია აორთქლებისა და კონდენსაციის პროცესების ერთდროულ მიმდინარეობასთან დროის გარკვეულ ინტერვალში და მისი თავიდან არიდების პრინციპული შეუძლებლობაა. დროის ამ ინტერვალში სითბოს ნაწილი იკარგება მუშაობის შესრულების გარეშე. ამ უკანასკნელი უარყოფითი თავისებურების მიხედვით ორთქლის მანქანების ცნობილ თერმოდინამიკურ ციკლებს შორის თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბოს ციკლს ანალოგი არა აქვს. ბუნებრივია მნიშვნელოვანი ხდება მითითებული "დაკარგული" სითბოს ნაწილის განსაზღვრა, და ამ ფაქტორის რაოდენობრივი გავლენა თერმოდინამიკური ციკლის საერთო თერმულ მქვ-ზე.

თამტ-ს პულსაციური საკნის თერმოდინამიკური ციკლი (როგორც იდეალური, ასევე რეალური) განხილული იყო სამუშაოში [91].

ქვემოთ ჩვენ ხელახლა განვიხილავთ პულსაციური საკნის რეალურ თერმოდინამიკურ ციკლს მნიშვნელოვანი დაზუსტებით, რომელიც გადახურებულ აორთქლების ზედაპირზე შედარებით ცივი სითხის დგუშის დაჯახების შემდგომ განვითარებული თერმო-ჰიდროდინამიკური პროცესის აქამდე გაუთვალისწინებელ თავისებურებებს უკავშირდება. მხედველობაში გვაქვს ორფაზა არეს შესაძლო სტრუქტურა გადახურებულ კედელსა და მასაში გადაცივებულ (გაჯერების ტემპერატურის მიმართ) სითხეს შორის.

დავიწყოთ თამტ-ს პულსაციური საკნის იდეალური თერმოდინამიკური ციკლის მოკლე აღწერით. თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბოს პულსაციური ნაკვეთურის იდეალიზებული ციკლი იგება რიგი გამარტივებული დაშვებების საფუძველზე. გარდა მსგავსი ანალიზისათვის ჩვეულებრივი დაშვებებისა (მაგალითად კვაზიწონასწორობა და ციკლის ცალკეული პროცესების შექცევადობა), იდეალიზირებული ციკლის შემთხვევაში ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ

ნაწილობრივ ზედდართვებს აორთქლებისა და კონდენსაციის პროცესების დროებში. მსგავსი დაშვება ფიზიკური თვალსაზრისით მართებული არის მხოლოდ აორთქლებისა და კონდენსაციის ზედდართვის მცირე ხანგრძლიობის დროითი ინტერვალის მიღწევისას (ერთი ციკლის ხანგრძლიობის ჯამურ დროსთან შედარებით). ასეთი თანაფარდობის მიღწევა არის მნიშვნელოვანი ამოცანა თამტ-ს ენერგეტიკული ეფექტურობის გაზრდის გზაზე. გარდა ამისა იდეალიზირებული ციკლის ანალიზის რეზულტატების არსებობა აღნიშნული ეფექტის გათვალისწინების გარეშე, შემდგომში სწორედაც რომ საფუძველი ხდება ზემოთ აღნიშნული არსებითად უარყოფითი გავლენის როლის განსაზღვრისა ციკლის ეფექტურობაზე, სითხის დაჭირხვნის ეტაპზე (იზობარულ-იზოთერმული გაფართოების პროცესში). თამტ-ს პულსაციური საკნის იდეალური თერმოდინამიკური ციკლი წარმოდგენილია P-V და T-S კოორდინატებში (ნახ.18). 1-2 პროცესი ციკლის მინიმალური წნევის (P_{min}) პირობებში მიმდინარეობს. მუშა აგენტის შედარებით ცივი თხევადი ფაზა (თხევადი დგუშის ზედაპირი) კონტაქტში შედის მანამდე გამშრალ და ამიტომ გადახურებულ ზედაპირთან, იწყება სითხის იზოქორული გახურება გაჯერების წნევისა და ტემპერატურის ზრდით. პროცესი თავდება წერტილში 2, წნევა აღწევს ციკლის მაქსიმუმს P_{max} და ხსნის დამჭირხნი სარქველს. ითვლება, რომ იდეალიზირებულ ციკლში 1-2 პროცესი მთლიანად სითხის ფაზაში მიდის (ნულოვანი ორთქლშემცველობით), გაჯერების მრუდის გასწვრივ, მუშა სხეულისათვის სითბოს მიწოდებით.

2-3 პროცესში ხდება სითბოს იზობარულ-იზოთერმული მიწოდება. მუშა სხეული (თხევადი დგუშის მცირე ზედა ნაწილი) ორთქლდება და სითხის ზედაპირი გადაადგილდება ზემოდან ქვემოთ. სრულდება გაფართოების მუშაობა და სითხე მიეწოდება დამჭირხნი სარქველის გავლით. ითვლება, რომ იდეალიზირებულ ციკლში 2-3 პროცესის დროს ორთქლის კონდენსაციას ადგილი არ აქვს და პროცესის ბოლოს ორთქლი მშრალ გაჯერებულ მდგომარეობაშია P_{max} წნევის ქვეშ.

პროცესი მთავრდება ხურების ზედაპირზე წინა პროცესში მოხვედრილი სითხის მასის სრული აორთქლებით, რის შემდეგაც ზედაპირი შრება და მისი გადახურება იწყება. აქედან ცხადი ხდება ხურების ზედაპირზე მოხვედრილი და შერჩენილი სითხის მასის პარამეტრული როლი.



3-4 პროცესში ხდება მუშა სხეულის ორთქლის ნაწილობრივი კონდენსაცია მუდმივი მოცულობის პირობებში. პრაქტიკულად ეს არის მეტად ხანმოკლე პროცესი, როცა, ერთის მხრივ, გამშრალი ხურების ზედაპირზე ორთქლის გენერაციის შეწყვეტის გამო, და მეორეს მხრივ, დგუმის ზედაპირზე ორთქლის კონდენსაციის გამო, გაჯერების წნევა სწრაფად ეცემა P_{max} - დან P_{min} - მდე. დამჭირხნი სარქველი იკეტება და იღება შემწოვი სარქველი. ითვლება, რომ პროცესის ბოლოს ორთქლი გარკვეული ტენიანობით ხასიათდება. პროცესი ადიაბატურად მიიჩნევა, რაც ნიშნავს გამშრალი ხურების ზედაპირიდან სითბოს მოდენის უმნიშვნელო როლს საერთო თბურ ბალანსში.

4-1 პროცესში ხდება მუშა სხეულის ორთქლის სრული კონდენსაცია სითბოს იზობარულ-იზოთერმული ართმევით P_{min} -ის პირობებში. გამშრალი ხურების ზედაპირიდან სითბოს მოდენის როლს ამ შემთხვევაშიც ვუგულველვყოფთ. კონდენსაციის შედეგად თხევადი დგუმი ხურების ზედაპირისაკენ გადაადგილდება, მიდის სითხის შეწოვა შემწოვი სარქველიდან. პროცესის ბოლოს დგუმის ზედაპირი ეჯახება ხურების ზედაპირს და ციკლი სრულდება და სისტემა კვლავ ზემოდ აღწერილ საწყის მდგომარეობაში აღმოჩნდება.

სამუშაოში [76] ჩატარებული ანალიზის თანახმად, თამბ-ს იდეალიზირებული თერმოდინამიკული ციკლის მეკ მუშა სხეულის ერთეული მასისათვის განისაზღვრება ცნობილი დამოკიდებულებით:

$$\eta = \frac{(q_1 - q_2)}{q_1} \quad (2-1)$$

სადაც q_1 მიწოდებული სითბოა, q_2 - ართმეული.



ნახ.18. თამბტ-ს პულსაციური საცნის იდეალური თერმოდინამიკური ციკლი P-V და TS კოორდინატებში

მიწოდებული სითბო q_1 წარმოადგენს სითბოთა ჯამს, მიწოდებულს იზოქორულ 1-2 პროცესში q_1' და იზობარულ-იზოთერმულ 2-3 პროცესში q_1'' . შესაბამისად:

$$q_1 = q_1' + q_1'' \quad (2-2)$$

ანალოგიურად ართმეული სითბოსთვის გვექნება

$$q_2 = q_2' + q_2'' \quad (2-3)$$

იზოქორული გახურების პროცესში მიწოდებული გახურების სითბო შეიძლება ვიანგარიშოთ შემდეგნაირად

$$q_1' = u_2 - u_1 \quad (2-4)$$

სადაც u_2 და u_1 შესაბამისად წარმოადგენენ მუშა სხეულის შიგა ენერგიას პროცესის დასაწყისისა და დასასრულის დროს. იზობარულ-იზოთერმული აორთქლების პროცესში მიწოდებული სითბო გამოითვლება, როგორც სხვაობა ენთალპიისა 2-3 პროცესის თავსა და ბოლოში :

$$q_1'' = h_3 - h_2 \quad (2-5)$$

(2-2) ტოლობაში შეტანის შემდეგ მივიღებთ:

$$q_1 = (u_2 - u_1) + (h_3 - h_2) \quad (2-6)$$

ტოლობა (2-6) გარდავექმნათ პარამეტრების შემდეგი დაჯგუფებით:

$$q_1 = (h_3 - u_1) - (h_2 - u_2) \quad (2-7)$$

ცნობილი დამოკიდებულებების გათვალისწინებით $u = h - P v$

ტოლობა (2-7) მიიღებს შემდეგ სახეს:

$$q_1 = (h_3 - h_1 + P_1 v_1) - P_2 v_2 \quad (2-8)$$

რადგანაც ჩვენს შემთხვევაში $v_1 = v_2$, $P_1 = P_{min}$, $P_2 = P_{max}$ ტოლობა მიწოდებული სითბოსთვის (2-8) შეიძლება გარდავექმნათ შემდეგი კომპაქტური სახით:

$$q_1 = (h_3 - h_1) - v_1 \Delta P \quad (2-9)$$

სადაც $\Delta P = P_{max} - P_{min}$.

იზოქორული გაგრილების 3-4 პროცესში, რომელიც მიმდინარეობს ორთქლის ნაწილობრივი კონდენსაციის თანხლებით, ართმეული სითბო

ასევე შეიძლება გამოითვალოს შინაგანი ენერგიების მნიშვნელობებით პროცესის თავსა და ბოლოში:

$$q_2' = (u_3 - u_4) \quad (2-10)$$

იზობარულ-იზოთერმული გაგრილების პროცესში, რომელიც მოიცავს მუშა სხეულის ორთქლის კონდენსაციის ძირითად ნაწილს (გადასატუმბი გარემოს შეწოვის სტადია) გამოყოფილი სითბო, ისევე როგორც იზობარულ-იზოთერმული გახურების პროცესში, შეიძლება გამოთვლილი იქნეს პროცესის დასაწყისისა და დასრულების ენთალპიების მნიშვნელობების მიხედვით:

$$q_2'' = h_4 - h_1 \quad (2-11)$$

(2-10) და (2-11) დამოკიდებულებების გათვალისწინებით ტოლობა (2-3) ართმეული სითბოსათვის მიიღებს სახეს:

$$q_2 = (u_3 - u_4) + (h_4 - h_1) \quad (2-12)$$

აქედან :

$$q_2 = (h_3 - h_1) - (P_3 v_3 - P_4 v_4) \quad (2-14)$$

რადგან განხილულ შემთხვევაში $v_3 = v_4$, $P_3 = P_{max}$ და $P_4 = P_{min}$, q_2 მიიღებს სახეს:

$$q_2 = (h_3 - h_1) - v_3 \Delta P \quad (2-15)$$

(2-9) და (2-15) ის ჩასმით მარგი ქმედების პირველ ტოლობაში მივირებთ:

$$\eta = \frac{(h_3 - h_1) - v_1 \Delta P - (h_3 - h_1) + v_3 \Delta P}{(h_3 - h_1) - v_1 \Delta P} \quad (2-16)$$

რომელიც მარტვი გარდაქმნებით მიიღებს სახეს:

$$\eta = \frac{(v_3 - v_1) \Delta P}{(h_3 - h_1) - v_1 \Delta P} \quad (2-17)$$

ტოლობა (2-17) შეიძლება უფრო გამარტივდეს თუ გავითვალისწინებთ, რომ განხილულ შემთხვევაში $v_1 \Delta P$, $v_3 \Delta P$ -სთან შედარებით ან $(h_3 - h_1)$ სხვაობასთან შედარებით არის მცირე სიდიდე

(განსაკუთრებით მუშა სხეულის დაბალი წნევების დროს). შესაბამისად მქც-სთვის მივიღებთ :

$$\eta = \frac{v_3 \Delta P}{h_3 - h_1} \quad (2-18)$$

აქ v_3 არის ორთქლის კუთრი მოცულობა ციკლის წერტილ 3-ში; $\Delta P = P_{max} - P_{min}$ - ციკლის მიმდინარეობისას მუშა აგენტის მაქსიმალურ და მინიმალურ წნევებს შორის სხვაობაა; h_3 და h_1 – ორთქლის ენთალპია, შესაბამისად, ციკლის წერტილებში 3 და 1.

სამუშაოში [76] გაანალიზებულია აგრეთვე თამბ-ს რეალური თერმოდინამიკული ციკლი, ხურების ზედაპირზე გენერირებული ორთქლის ნაწილის უკვე დაჭირხვნის სტადიის დამთავრებამდე, ანუ გაფართოების მუშაობის შესრულების გარეშე კონდენსაციის გათვალისწინებით. მართალია, თუ დაჭირხვნის სტადია შედარებით ხანმოკლეა, ასეთი “პარაზიტული” კონდენსაციის გავლენა მინიმალურია, თუმცა მაინც გაანალიზებას მოითხოვს.

თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბოს რეალური ციკლის საანგარიშოდ ჩატარებულ ანალიზში უნდა იქნეს შეტანილი შესწორებანი, რომლებიც ითვალისწინებენ ამ ციკლის ძირითად გადახრებს იდეალური სქემიდან. ზემოთ ჩვენ თუმც ვუშვებდით, რომ აორთქლების პროცესი მიმდინარეობს კონდენსაციის პროცესზე გაცილებით სწრაფად, უკანასკნელის ნაწილობრივი მიმდინარეობა აორთქლების თანადროულად, მაინც შესამჩნევად ამცირებს თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბოს ციკლის ეფექტურობას. მსგავსი შემცირება დაკავშირებულია სითბოს იმ ნაწილის შესატყვის სისტემის გამჭოლ შეუქცევად ნაკადთან, რომელიც არ ასრულებს გაფართოების მუშაობას.

თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბოს რეალური თერმოდინამიკური ციკლი, რომელიც ასახავს აორთქლებისა და კონდენსაციის პროცესების ზედდართვას, ანუ ხურების ზედაპირზე გენერირებული ორთქლის ნაწილის გაფართოების მუშაობის შესრულების გარეშე, დაჭირხვნის სტადიის დამთავრებამდე

კონდენსაციას, გამოსახულია ნახ.19-ზე, P-V და T-S კოორდინატებში. როგორც ნახაზიდან ჩანს, ნაწილობრივი ზედდართვა ორი პროცესისა პოულობს ასახვას იზობარულ-იზოთერმული პროცესის დასასრულის გადაადგილებაში (წერტილი 3) მშრალი გაჯერებული ორთქლის ხაზიდან ტენიანი ორთქლის არეში და მქკ-ს დამოკიდებულების წარმოქმნაში X3-ზე. “პარაზიტული” კონდენსაციის გავლენა პროცესის 3-4 უფრო ტენიან ორთქლის ზონაში გადანაცვლებაში გამოიხატება, რაც, რა თქმა უნდა, ციკლის მქკ-ს ადაბლებს.

ანალიზი აჩვენებს, რომ ფორმულა (2-18) ძალაშია აორთქლებისა და კონდენსაციის პროცესების ნაწილობრივი ზედდართვის შემთხვევაშიც. სხვაობა მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ (2-18) ტოლობაში შემავალი სიდიდეები h_3 და v_3 უნდა ავიღოთ არა მშრალი გაჯერებული ორთქლისათვის (როგორც ეს ხდება იდეალიზირებული ციკლისათვის), არამედ წერტილი სამის წანაცვლების გათვალისწინებით ტენიანი ორთქლის არეში.

$$q_1 = q_1' + q_1'' \quad (2-19)$$

სადაც q_1' განისაზღვრება (2-4) ტოლობით, q_1'' კი გვექნება: $q_1'' = h_3' - h_2$, ამგვარად



$$q_1 = (h_3' - h_1) - v_1 \Delta P \quad (2-20)$$

ართმეული სითბოსთვის:

$$q_2 = q_{3'-3} + q_2' + q_2'' \quad (2-21)$$

სადაც $q_{3'-3} = h_3' - h_3$ არის აორთქლების პროცესის დროში, მუშა სითხის ნაწილობრივი კონდენსაციისას ართმეული სითბო. q_2' და q_2'' კი განისაზღვრებიან როგორც იდეალიზირებულ ციკლში ფორმულებით (2-10) და (2-11). ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ტოლობა (2-21) გარდაიქმნება შემდეგნაირად:

$$\begin{aligned} q_2 &= (h_3' - h_3) + (u_3 - u_4) + (h_4 - h_1) = \\ &= (h_3' - h_3) + (h_4 - u_4) + (u_3 - h_1) = \\ &= (h_3' - h_3) + P_4 v_4 + (h_3 - P_3 v_3 - h_1) \end{aligned} \quad (2-22)$$



ნახ.19. თბურამპრავიანი მემბრანული ტუმბოს პულსაციური საკნის რეალური თერმოდინამიკური ციკლი P-V და T- S კოორდინატებში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ $v_3 = v_4$, $P_3 = P_{max}$ და $P_4 = P_{min}$, მაშინ გვექნება:

$$q_2 = (h_3' - h_1) - v_3 \Delta P \quad (2-23)$$

თამტ-ს რეალური თერმოდინამიკური ციკლის თერმული მქკ-ს (2-1) ტოლობაში, (2-20) და (2-23) შეტანით მივიღებთ:

$$\eta = \frac{(h_3' - h_1) - v_1 \Delta P - (h_3' - h_1) + v_3 \Delta P}{(h_3' - h_1) - v_1 \Delta P} \quad (2-24)$$

რომელიც მარტივი გარდაქმნების შედეგად მიიღებს სახეს:

$$\eta = \frac{(v_3 - v_1) \Delta P}{(h_3' - h_1) - v_1 \Delta P} \quad (2-25)$$

(2-25) ტოლობის (2-17) ტოლობასთან თვალსაჩინო მსგავსების მიუხედავად, რადგანაც წერტილი 3 რეალურ ციკლში იმყოფება ტენიანი ორთქლის ზონაში, კუთრი მოცულობის v_3 -ის მნიშვნელობა ტოლობაში (2-25) განსხვავდება ტოლობაში (2-17) მნიშვნელობისაგან და განისაზღვრება როგორც ფუნქცია ორთქლშემცველობისა ცნობილი დამოკიდებულებით:

$$v_3 = v_2 + X_3(v'' - v_2) \quad (2-26)$$

სადაც v'' - არის მშრალი გაჯერებული ორთქლის კუთრი მოცულობა P_{max} - ის დროს. იმის გათვალისწინებით რომ პროცესი 1-2 ხდება მუდმივი მოცულობით და შესაბამისად $v_1 = v_2$, ტოლობა (2-26) მიიღებს შემდეგ სახეს:

$$v_3 = v_1 + X_3(v'' - v_1) \quad (2-27)$$

(2-27)-ის ჩასმით (2-2) ტოლობაში, რეალური ციკლის მქკ-ს განსაზღვრისათვის საბოლოოდ მივიღებთ:

$$\eta = \frac{x_3(v'' - v_1) \Delta P}{(h_3' - h_1) - v_1 \Delta P} \quad (2-28)$$

ადვილი შესამჩნევია, რომ ტოლობა (2-28) აკმაყოფილებს ზღვრულ პირობებს. როცა $X_3 = 0$, $\eta = 0$; როცა $X_3 = 1$, მაშინ (2-28) ტოლობა გადადის (2-17) ტოლობაში. ცხადია რომ (2-28) და (2-17) ტოლობების მარჯვენა

მხარეების ფარდობა გარდაიქმნება ორთქლშემცველობად X_3 . ამგვარად ადგილი აქვს ფარდობას:

$$\eta_{\text{რეალ}} / \eta_{\text{იდელ}} = X_3 \quad (2-29)$$

რეალური ციკლის თერმული მქკ-ს ტოლობა (2-28), ითვალისწინებს თამბ-ში აორთქლებისა და კონდენსაციის პროცესების ნაწილობრივ ზედდართვას, საშუალებას გვაძლევს განვსაზღვრეთ მუშა სხეულის ორთქლის ტენიანობის დასაშვები დიაპაზონი იზობარულ-იზოთერმული პროცესის დასასრულს, რასაც მივყავართ მოწყობილობის ენერგეტიკული ეფექტურობის მინიმალურ დანაკარგებთან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანია რეალური ციკლის დაზუსტება მშრალ, გადახურებულ აორთქლების ზედაპირზე, შედარებით ცივი სითხის დგუშის დაჯახების შემდგომ განვითარებული თერმო-ჰიდროდინამიკური პროცესის თავისებურებების გათვალისწინებით. მხედველობაში გვაქვს ორფაზა არეს შესაძლო სტრუქტურა გადახურებულ კედელსა და მასაში გადაცივებულ (გაჯერების ტემპერატურის მიმართ) სითხეს შორის.

რამდენადაც ხურების ზედაპირის ტემპერატურა 1-2 პროცესის განმავლობაში ყოველთვის მეტია ნაჯერობის ტემპერატურაზე, ზედაპირის მიმდებარე სითხის მიკროშრეში ყოველთვის რჩება პირობები ორთქლის შენარჩუნებისათვის კედელთან შეხებაში მყოფი მიკრობუმტების სახით. აქედან გამომდინარე, სამუშაოში [76] მიღებული დაშვება 1-2 პროცესის მთლიანად სითხის ფაზაში მიმდინარეობის, ანუ მის განმავლობაში ორთქლშემცველობის ნულოვანი (ანუ ტენიანობის 100%-იანი) დონის შესახებ უფრო დეტალური განხილვისას მთლიანად გამართლებული აღარ არის.

მოყვანილი გარემოებები განაპირობებს 1-3 პროცესში ტენიანობის რეალური დონის გათვალისწინებით რეალური ციკლის დაზუსტების აუცილებლობას. როგორც შესაბამისი ანალიზი გვაჩვენებს, 1-3 პროცესში ხურების ზედაპირის ტემპერატურა თუმცა თანდათანობით ეცემა, იგი მაინც ყოველთვის რჩება გაჯერების ტემპერატურაზე მნიშვნელოვნად

უფრო მაღალი. შესაბამისად, ორთქლის მიკრობუმტების კვება ორთქლით ხურების ზედაპირის მხრიდან თუმცა ეცემა, მაგრამ ყოველთვის ინტენსიური რჩება.

რაც შეეხება ორთქლის კონდენსაციას მიკრობუმტებში ცივი წყლის მხრიდან, რამდენადაც სითხის ტემპერატურა გაჯერების ტემპერატურას უახლოვდება და ბოლოს ტოლიც ხდება, ასეთი კონდენსაციის ინტენსიურობა 1-2 პროცესის განმავლობაში მკვეთრად ეცემა და ბოლოს ნულზე დადის.

საბოლოო ანგარიშში აორთქლება-კონდენსაციის მასური ბალანსი აორთქლების მხარეზე იხრება და ორთქლის მასის წილი სითხის სასაზღვრო შრეში მუდმივად იზრდება. მასთან ერთად, 1-2 პროცესში წნევაც იზრდება, რაც ზრდის ორთქლის სიმკვრივეს მიკრობუმტებში. ამგვარად, 1-2 პროცესში ერთდროულად იზრდება მიკრობუმტების საერთო მასაც და სიმკვრივეც.

მოყვანილი მნიშვნელოვანი გარემოებები საშუალებას გვაძლევს პირველ მიახლოებაში დავუშვათ სითხის სასაზღვრო ფენაში ორთქლის მიკრობუმტების საერთო მოცულობის მუდმივობა მთელი 1-2 პროცესის განმავლობაში (ე.ი., ორთქლის საერთო მოცულობაზე ორივე პარამეტრის, ორთქლის საერთო მასისა და ორთქლის სიმკვრივის, ზრდის საწინააღმდეგო გავლენათა თანაბრობა).

ამგვარად, 1-2 პროცესი რჩება იზოქორულ გახურებად გაჯერების მრუდზე წნევის თანდათანობით ზრდით, ოღონდაც, 100%-ზე ნაკლები ტენიანობით (ტენიანობა მასური პარამეტრია), რომელიც თანდათან მცირდება წერტილ 1-დან წერტილ 2-მდე.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, თხევად დუმიან ორთქლის ძრავაში თერმოდინამიკური ციკლი ვრცელდება მხოლოდ დგუმის ზემო სითხის თხელი ფენის მასაზე, რომელიც ციკლში მთლიანად ორთქლდება და კონდენსირდება.

თამტ-ს დაზუსტებული რეალური თერმოდინამიკური ციკლი მოყვანილია ნახაზზე 20. დაზუსტებული რეალური თერმოდინამიკური

ციკლის მდგენელი პროცესების თანმიმდევრული ანალიზის გზით დამუშავებულია ციკლის კომპიუტერული მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ციკლის პარამეტრები სხვადასხვა საწყისი პირობებისათვის.

დაზუსტებული რეალური თერმოდინამიკური ციკლის თერმოდინამიკური ანალიზის საფუძველზე, ნახ.20-ის მიხედვით დაზუსტებული თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბოს რეალური თერმოდინამიკური ციკლის მქვ შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$\eta = \frac{(q_1 - q_2)}{q_1} = 1 - \frac{q_2}{q_1} \quad (2-30)$$

ციკლში მიწოდებული სითბო:

$$q_1 = q_1' + q_1'' \quad (2-2)$$

სადაც q_1' - იზოქორულ 1-2 პროცესში მიწოდებული სითბოა, ხოლო q_1'' - იზობარულ-იზოთერმულ 2-3 პროცესში მიწოდებული სითბო. ციკლიდან ართმეული სითბო:

$$q_2 = q_2' + q_2'' \quad (2-3)$$

სადაც q_2' - იზოქორულ 3-4 პროცესში ართმეული სითბოა, ხოლო q_2'' -იზობარულ-იზოთერმულ 4-1 პროცესში ართმეული სითბო.

იზოქორულ 1-2 პროცესში მიწოდებულ სითბოს ვანგარიშობთ როგორც მუშა სხეულის შიგა ენერჯიათა სხვაობას:

$$q_1' = u_2 - u_1 \quad (2-4)$$

სადაც u მუშა სხეულის შიგა ენერჯიაა, [ჯ/კგ].

იზოქორულ 3-4 პროცესში ართმეული სითბო:

$$q_2' = u_3 - u_4 \quad (2-10)$$



იზობარულ 2-3 პროცესში მიწოდებული სითბო:

$$q_1'' = h_3 - h_2 \quad (2-5)$$

იზობარულ 4-1 პროცესში ართმეული სითბო:

$$q_2'' = h_4 - h_1 \quad (2-12)$$

(2-4), (2-5), (2-10), (2-12) ტოლობების შეტანით (2-30) ტოლობაში მივიღებთ:



ნახ. 20. სითხის დეგუმბიანი თამბტ-ს პულსაციური საკნის დაზუსტებული რეალური თერმოდინამიკური ციკლი P-V და TS კოორდინატებში

$$\eta = 1 - \frac{u_3 - u_4 + h_4 - h_1}{u_2 - u_1 + h_3 - h_2} \quad (2-31)$$

სხვადასხვა წერტილში შიგა ენერჯიის საანგარიშოდ ვიყენებთ ცნობილ დამოკიდებულებას $u = h - Pv$. შესაბამისად შიგა ენერჯიები წერტილებში 1,2,3,4 ტოლია:

$$u_1 = h_1 - P_{min} v_1 \quad (2-32)$$

$$u_2 = h_2 - P_{max} v_2 \quad (2-33)$$

$$u_3 = h_3 - P_{max} v_3 \quad (2-34)$$

$$u_4 = h_4 - P_{min} v_4 \quad (2-35)$$

თავის მხრივ:

$$h_1 = h'_{Pmin} + x_1 r_{pmin} \quad (2-36)$$

$$h_2 = h'_{Pmax} + x_2 r_{pmax} \quad (2-37)$$

$$h_3 = h'_{Pmax} + x_3 r_{pmax} \quad (2-38)$$

$$h_4 = h'_{Pmin} + x_4 r_{pmin} \quad (2-39)$$

$$v_1 = v'_{Pmin} (1 - x_1) + x_1 v''_{pmin} \quad (2-40)$$

$$v_2 = v'_{Pmax} (1 - x_2) + x_2 v''_{pmax} \quad (2-41)$$

$$v_3 = v'_{Pmax} (1 - x_3) + x_3 v''_{pmax} \quad (2-42)$$

$$v_4 = v'_{Pmin} (1 - x_4) + x_4 v''_{pmin} \quad (2-43)$$

სადაც, x_1, x_2, x_3, x_4 მუშა სხეულის სიმშრალის ხარისხებია შესაბამისად 1, 2, 3, 4 წერტილებში (ნახ.20); h'_{Pmax} და h'_{Pmin} - ნაჯერობის მდგომარეობაში მყოფი მუშა სითხის ენთალპია ციკლის მაქსიმალურ და მინიმალურ წნევებზე; r_{Pmax} და r_{Pmin} - მუშა სითხის აორთქლების ფარული სითბო ციკლის მაქსიმალურ და მინიმალურ წნევებზე; v'_{Pmax} და v'_{Pmin} - ნაჯერობის მდგომარეობაში მყოფი მუშა სითხის კუთრი მოცულობა ციკლის მაქსიმალურ და მინიმალურ წნევებზე; v''_{Pmax} და v''_{Pmin} - მუშა სითხის მშრალი ნაჯერი ორთქლის კუთრი მოცულობა ციკლის მაქსიმალურ და მინიმალურ წნევებზე.

ტოლობების (2-32) - (2-43) შეტანით ტოლობა (2-31)-ში და მარტივი მათემატიკური გარდაქმნებით მივიღებთ:

